# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 201 (12 577) 28 აგვისტო ხუთშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი




# პირველი ქართველი მწვრთნელი ჩემპიონთა ლიგაში

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ქეცბაიასთვის დიდების დარბაზი უკვე ცოტაა: ქართველმა კვიპროსის ისტორია დაწერა

თემურ ქეცბაია კვიპროსული ფეხბურთის დიდების დარბაზში 2005 წელს შევიდა. მაშინ, მის მიერ გაწვრთნილმა „ანორთოსისმა“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თურქულ „ტრაბზონსფორს“ მოუგრიხა კისერი (3:1, 0:1). გუშინ კი ქეცბაიას გუნდმა გაცილებით შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია: ჩემპიონთა ლიგაში გავიდა.

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში „ანორთოსისმა“ პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ 3:0 დაამარცხა, გუშინ კი სტუმრად 0:1 წააგო და პირველი კვიპროსული გუნდი გახდა, საუკეთესო საკლუბო ტურნირში რომ ითამაშებს. არადა, „ოლიმპიაკოსი“ „ანორთოსისზე“ თითქმის ყველა პარამეტრით წინაა - ფული, უკეთესი ეროვნული ჩემპიონატი, ტრადიციები, მოთამაშეთა კონტინგენტი... „ოლიმპიაკოსი“ საბერძნეთის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია, ჩემპიონთა ლიგაში ხშირად უთამაშია. შარშან ჯგუფური ეტაპიც დასძლია და მერე „ჩელსისთან“ დამარცხდა... აი, ასეთი კლუბი ქეცბაიას „ანორთოსისმა“ ჩემპიონთა ლიგის მიღმა დატოვა.

ქართველმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ ძალიან ძლიერი პიროვნებაა, ერთხელაც შეახსენა ყველას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფეხბურთში მწვრთნელის ფაქტორი - ბერძენთა ესპანელ დამრიგებელ ერნესტო ვალვერდეს დუელი პირწმინდად მოუგო.

ქეცბაია დიდების დარბაზს ველარ იკმარებს - კვიპროსში ის უკვე მოვლენაა, ევროპული ფეხბურთისთვის კი ძალზე საინტერესო კაცი, პირველი ქართველი მწვრთნელი ჩემპიონთა ლიგაში...

დავით თავართქილაძე



მარცხნივ: თემურ ქეცბაია და მისი ასისტენტი სოსო ქედია

# 8:2

## კიევის დინამომ რუსეთის სახალხო გუნდი დამარხა

## უკრაინელმა ფანებმა სპარტაკს საქართველოს დროშები უფრიალეს



კობი და შალკე ატლეტიკოს დანებდნენ

ტექნიკური შედეგები »15

U 21. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-საქართველო

# უეფასგან პასუხს ველით



ბორის სტუკალოვი



ანდრეი მალოსოლოვი

„რუსეთისა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი შესაძლოა ჩაიშალოს", „საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მოსკოვში თამაშზე უარსაა", „საქართველომ უეფას რუსეთთან მატჩის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარება მოსთხოვა", „მატჩი ნონ გრატა", „საფეხბურთო რიკოშეტი, რომელიც სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებებს მოჰყვა", - ეს სათაურები რუსეთ-საქართველოს 21-წლამდელთა მატჩისადმი მიძღვნილ სტატიებს ამშვენებს. მოკლედ, რუსულ პრესაში დიდი ამბებია ატეხილი. ერთი რამ ცხადია: მატჩი, რომელიც 5 სექტემბერს ედუარდ სტრელცოვის სახელობის სტადიონზეა დანიშნული, შესაძლოა, არ შედგეს. სწორედ ამას ამბობს რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ბორის სტუკალოვი**, რომელსაც „მოსკოვსკი კომსომოლეცმა" რამდენიმე კითხვით მიმართა (ინტერვიუ ჩაწერილია 26 აგვისტოს).

- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან რამდენჯერმე მოვითხოვეთ პასუხები კითხვებზე: როდის მოფრინავს მოსკოვში ჩვენი მეტოქე, რომელ სასტუმროში დაბინავდება, სად ივარჯიშებს... ყველა ეს კითხვა ჯერჯერობით უპასუხოა. ოთხშაბათამდე მოვიცდით და თუ კიდევ არ იქნა პასუხი, ამას მერე უეფას ვაცნობებთ და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ეს ორგანიზაცია მიიღებს.

**- ეს ოფიციალურად. თუმცა არაოფიციალურად თუ ვიტყვით, რუსეთის საფეხბურთო ასოციაციაში მომუშავე თითქმის ყველა თანამშრომელს ჰყავს საქართველოში ნაცნობი...**

- კი, მაგრამ ტელეფონით თბილისში დარეკვა შეუძლებელია. შევეცადეთ რუსეთში მცხოვრებ ქართველებს დავკავშირებოდით. გვინდოდა, გაგვერკვია: ჩამოფრინდებიან ქართველები მოსკოვში თუ მატჩის გადატანისთვის იბრძვიან? და საერთოდ, რას აპირებენ, რა გათვლები აქვთ. სამწუხაროდ, პასუხი ვერც რუსეთში მცხოვრები ქართველებისგან მივიღეთ. ალბათ, მათაც არაფერი იციან, ანდაც სოლიდარობის ნიშნად არაფრის თქმა არ უნდათ.

**- დავუშვათ, ეს მატჩი საერთოდ არ შედგა ან ნეიტრალურ სტადიონზე გადაიტანეს. რა შეიძლება მოხდეს?**

- ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ვნახოთ, რას გადაწყვეტს უეფა. 1973 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩასატარებელი გასვლითი მატჩისთვის ჩილეში ჩაფრენაზე უარი თქვა და წაგება ჩაეთვალა.

**- როგორ ფიქრობთ, რას ესწრაფვიან ქართველები?**

- არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით... თუმცა ის კი ვიცი, რომ ქართული მხარე უეფასთან ინტენსიურ კონტაქტშია. ხაზგასმით ვაცხადებ: პირადად მე, ნებისმიერ ვარიანტზე თანახმა ვარ. ჩვენთვის საქართველოსთან მატჩი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ფინალურ ეტაპზე მოხვედრისთვის ვიბრძვით და დარჩენილი ორივე თამაშის მოგება გვჭირდება.

ამხანაგი სტუკალოვი ინტერვიუში არაფერს ამბობს იმაზე, რომ ქართულმა მხარემ 5 სექტემბრის მატჩის ნეიტრალურ სტადიონზე ჩატარება მოითხოვა. თუმცა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრესცენტრის ხელმძღვანელი **ანდრეი მალოსოლოვის** კომენტარიდანაც ცხადია, რომ რუსებმა ეს უკვე იციან. ალსანიშნავია ისიც, რომ მალოსოლოვი საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში მხოლოდ პოლიტიკურ კრიზისს ხედავს და მეტს ვერაფერს.

*„ჩვენ მზად ვართ, ქართულ მხარეს უსაფრთხოების სრული გარანტია მივცეთ. საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური კრიზისი ადრეც იყო, მაგრამ ჩვენს ეროვნულ, ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებებს თბილისში ჩასვლაზე უარი არ უთქვამთ. არც იმ მატჩების ნეიტრალურ მოედანზე ჩატარება მოგვითხოვია. უეფა თავის გადაწყვეტილებებში ერთი ბრძნული პრინციპით ხელმძღვანელობს - სპორტი პოლიტიკის გარეშე, - და მხოლოდ მაშინ გადააქვს ესა თუ ის მატჩი ნეიტრალურ მოედანზე, როცა სტუმარი გუნდისა და მის გულშემატკივართა უსაფრთხოების გარანტიები არ არსებობს. ამ შემთხვევაში კი ასეთი ვითარება ნამდვილად არ არის. კიდევ ერთხელ ვაცხადებ: ჩვენ შეგვიძლია, ქართულ მხარეს უსაფრთხოების სრული გარანტია მივცეთ და სიტყვასაც შევასრულებთ. ჯერჯერობით, ამ მატჩის გადატანასთან დაკავშირებით უეფასგან და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან არანაირი დოკუმენტი არ მიგვიღია"*, - ამბობს მალოსოლოვი.

რუსული ვებგვერდები წერენ, რომ თუ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები რუსეთში სათამაშოდ არ ჩავა, უეფას რეგლამენტის თანახმად, ჩვენს გუნდს ტექნიკური წაგება 0:3 ჩაეთვლება. ბუნებრივია, ამის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის .გენერალურ მდივან **უჩა უგულავას** დავუკავშირდით.

*„ამ თემაზე უკვე მეათედ ვაკეთებ კომენტარს. რუსეთის საფეხბურთო კავშირში ჩვენ არაფერი გაგვიგზავნია. უეფაში გავგზავნეთ არგუმენტირებული წერილი და 5 სექტემბრის მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გადატანა მოვითხოვეთ. ამ საკითხს უეფა განიხილავს და გადაწყვეტს. ჯერჯერობით, უეფასგან პასუხი არ მიგვიღია"* - გვითხრა უგულავამ.

დავით ცაბაძე



ჯაბა დვალი

ლეგიონერი

# ჯაბა დვალის პირველი დუბლი

გუშინ, მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში მე-10 ტურის მატჩები გაიმართა. კიშინიოვში „დაჩიამ" 4:1 გაანადგურა ტირასპოლის „ტილიგული". ამ შეხვედრაში თავი მასპინძელთა ქართველმა ფორვარდმა **ჯაბა დვალმა** გამოიჩინა, რომელმაც სეზონში პირველი დუბლი შეასრულა. მან 43-ე წუთზე დაანინაურა თავისიანები (1:0), ხოლო 49-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა. დვალი მე-80 წუთზე **ზისლისით** შეცვალეს. **ლევან კორლალიძემ** „დაჩიას" რიგებში 90 წუთი ითამაშა. ეს დვალის მე-4 გოლია სეზონში. სხვათა შორის, „დაჩიას" ლეგიონერებს ამ ტურის წინ დართეს მოლდოვის ტერიტორიაზე მუშაობის უფლება.

„დაჩია" 15 ქულით მეორე ადგილზეა, ის „ზიმბრუს" 2 ქულით ჩამორჩება, თუმცა **მამუკა ლომიძის** გუნდს ორი თამაშით მეტი აქვს გამართული. გუშინ „ზიმბრუმ" 4:0 გაანადგურა „ცსკა-რაპიდი". ლომიძეს არ უთამაშია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# მუჯირი მოსკოვის დინამოში?

რუსული „სპორტ დენ ზა დნიომ" იუწყება, რომ მალე ქართველი ნახევარმცველი **დავით მუჯირი** კარიერას მოსკოვის „დინამოში" გააგრძელებს. მოსკოვის დინამოსელი **დანის** „ზენიტში" გადასვლის შემდეგ დინამოელებს ნახევარდაცვაში პრობლემები შეექმნა და სწორედ ამიტომ ესაჭიროება მუჯირი, რომელსაც „ლოკომოტივში" თამაშის საშუალებას არ აძლევენ. „დინამოს" 30 წლის ქართველი ლეგიონერის იჯარით აყვანა სეზონის ბოლომდე სურს. შეგახსენებთ, რომ სეზონის დაწყებამდე სამარის „კრილია სოვეტოვიდან" „ლოკომოტივში" გადასულმა დავით მუჯირმა სულ ექვს მატჩში მიიღო მონაწილეობა, ექვსჯერვე შეცვლაზე. მუჯირმა მოედანზე ჯამში მხოლოდ 44 წუთი დაყო.



დავით მუჯირი






დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი დავით თავართქილაძე

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

უეფას თასი. ავსტრია-ვიტ ჯორჯია. ინტერვიუ ირაკლი კლიმიაშვილთან

# გამარჯვებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ

## რას ამბობდა კუპერი ქართულად

**"ვიტ ჯორჯია"** უკვე ვენაშია. თბილისიდან გამგზავრებამდე ვიტელთა გუნდში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი ირაკლი კლიმიაშვილი შევარჩიეთ რესპონდენტად. მოგეხსენებათ, კლიმიაშვილმა ეროვნულ ნაკრებში უელსთან ითამაშა. გარდა ამისა, ირლანდიასა და იტალიასთან მატჩებისთვის კვლავ გამოძახებულია ექტორ კუპერის გუნდში.

ერთი სიტყვით, ირაკლი კლიმიაშვილს საკლუბო და სანაკრებო თემებზე გავესაუბრეთ.



ირაკლი კლიმიაშვილი

**- როგორ ემზადებით "აუსტრიასთან" მატჩისთვის?**

- გუნდში საბრძოლო განწყობილებაა. მოტივაცია არ გვაკლია და შეიძლება ითქვას, მაქსიმალურად ვართ მობილიზებულები.

**- ცხადია, "აუსტრია" ტრნავის "სპარტაკზე" უკეთესი გუნდია. შეძლებთ კიდევ ერთი ეტაპის გადალახვას?**

- ჩვენი მიზანიც ესაა. დიდი სურვილი გვაქვს, მესამე რაუნდში გავიდეთ. სამისოდ მაქსიმუმს გავილებთ. ერთი სიტყვით, ცდას არ დავაკლებთ და ვნახოთ...

**- მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობას მხოლოდ ერთი მატჩი გადაწყვეტს...**

- დიახ. ეს ჩვენთვის დამატებითი მოტივაციაა. მეტოქეს ის კოზირი აქვს, რომ შინ თამაშობს... გვინდოდა, ტრნაველთა ბარიერი გადაგველახა, ძალიან მოვინდომეთ და შევძელით. ახლაც ძალიან გვინდა ავსტრიული ბარიერი უკან მოვიტოვოთ. მით უმეტეს, ერთი თამაში წყვეტს ყველაფერს. ძალიან გვინდა, მომავალი წილისყრა ჩვენთვის იყოს საინტერესო და არა "აუსტრიისთვის".

**- მეტოქეზე რა იცი?**

- გვაქვს ვიდეოფირი, რომელშიც "შტურმთან" ჩვენი მეტოქის თამაშია ჩაწერილი. დაწვრილებით შევისწავლეთ მეტოქე. ზოგადად იმისი თქმა შეიძლება, რომ ძლიერი მეტოქე გვყავს, ძალისმიერ ფეხბურთს აჩვენებენ და ტექნიკასთანაც არ არიან მწყრალად. ფლანგებიც აქტიური ჰყავთ. მათ გუნდში ბაზინა და აჩიმოვიჩი აშკარად გამოირჩევიან.

**- შეძლებთ "აუსტრიის" წამყვანი ფეხბურთელების განეიტრალებას?**

- ჩვენ ჩვენსაც შევეცდებით, მეტოქე თავისას. "აუსტრია' შინ თამაშობს და ქომაგობა არ მოაკლდება. იმედი გვაქვს, გერმანიასა და ავსტრიაში მცხოვრები რამდენიმე ათეული ქართველი მაინც იქნება ტრიბუნაზე და მხარს დაგვიჭერს.

**- ახლა სანაკრებო თემასაც შევეხოთ. უელსთან მატჩში ითამაშე. როგორ შეაფასებდი შეხვედრას?**

- თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ კონტინგენტის გათვალისწინებით, რომელიც უელსში გვყავდა, ჩვენმა ნაკრებმა კარგად ითამაშა. მასპინძელთა გოლამდე შეგვეძლო ანგარიშის გახსნა. მეორე ტაიმში კი პირველზე უკეთ ვითამაშეთ.

**- მიღებულ გოლზე რას იტყოდი?**

- თამაშის მსვლელობისას წვიმდა, ბურთი ძალიან სრიალებდა და იმიტომაც იყო კურიოზული გოლი რომ გავუშვით.

**- ალბათ, დამეთანხმები, არაერთი საგოლე მომენტი გავანიავეთ. ირლანდია და იტალია უელსზე ძლიერები არიან და ამდენს არ გვაპატიებენ.**

- კი, გეთანხმებით, მაგრამ უელსის მატჩამდე ექტორ კუპერმა სრული შემადგენლობა მხოლოდ ერთხელ ავარჯიშა. ბრიტანეთში ჩასვლამდე კი ნაკრებს ბაქოში პეტარ შეგრტი ამზადებდა. ფაქტობრივად, ერთი დღის შეკრებილი გუნდით მოვუგეთ უელსს. თბილისიდან რომ გავემგზავრეთ, ქართულ ქალაქებს რუსული ავიაცია ბომბავდა. უელსში ვიგებდით თუ როგორ იკავებდა რუსის ჯარი ქართულ ქალაქებს - სენაკს, ზუგდიდს, ფოთს, კასპს, ხაშურს... ოჯახის წევრებსა და მეგობრებზე ვფიქრობდით. აგრესია გვემატებოდა და უფრო მობილიზებულები ვხვდებოდით. ამას მწვრთნელებიც გრძნობდნენ. შეგრტმა გვითხრა კიდეც - ხომ ხედავთ, რაც ხდება საქართველოში, ჩვენ აგრესია მოედანზე უნდა ვაჩვენოთ, საქართველოს ჯარისკაცები ვართ და ჩვენთვის საბრძოლო არენა მწვანე მოედანიაო. ყველას გვინდოდა, უელსში მოგვეგო და ხალხი, რომელიც რუსებმა და ამ ომმა გაამწარა, მცირედით მაინც გაგვეხარებინა, გაგვემხნევებინა. ბედნიერი ვარ, რომ ეს შევძელით.

**- კუპერზე რა აზრი შეგექმნა? როგორც გავიგეთ, არგენტინელი მწვრთნელი დისციპლინის მოყვარულია. მას კიდევ როგორ დაახასიათებდი?**

- დიახ, დისციპლინა უყვარს. ვარჯიშებზე უმთავრესად ტაქტიკაზე გააკეთა აქცენტი. რაც ვნახე, ეტყობა, რომ შემტევი ფეხბურთის მიმდევარია. ძალიან მონდომებული იყო, რომ უელსში თამაში არ წაგვეგო. ბექა გოცირიძის გოლმა ყველა ძალიან გაგვახარა. კუპერის ნათქვამიც ასრულდა...

**- რას გულისხმობ?**

- არგენტინელმა რამდენიმე ქართული სიტყვა აითვისა. მატჩისწინა ვარჯიშზე, წვრთნის დასრულებისას დამტვრეული ქართულით გვითხრა - „მოგება მინდა"!

**- ტელერეპორტაჟისას არ ჩანდა, მეორე გოლისას ვინ გააკეთა პასი...**

- ბურთი აუტზე გადადიოდა, დავიჭირე და შეტევა დავიწყე, წამაქციეს და ჯარიმა დაინიშნა. ის საჯარიმო ზურა ხიზანიშვილმა შეასრულა, რომელსაც გოცირიძეს გოლი მოჰყვა.

**- ეროვნულ ნაკრებში ირლანდიასა და იტალიასთან მატჩებისთვისაც ხარ გამოძახებული.**

- ხომ გაგიგიათ, საქმის კარგად დაწყება ნახევარი საქმეაო. ძალიან გვინდა, რომ ირლანდიასთან მოგებით წარმატებას ჩავუყაროთ საფუძველი. მართალია, ირლანდიას ნეიტრალურ მოედანზე ვეთამაშებით, მაგრამ ამან ხელი კი არ უნდა ჩაგვაქნევინოს, არამედ უფრო მეტად გაგვაცხაროს. დარწმუნებული ვარ, ირლანდიას ნეიტრალურზე გაორმაგებული მონდომებით ვეთამაშებით. იტალიაზე კი მერე ვიფიქრებთ.

**- ისევ "აუსტრიასთან" მატჩს დავუბრუნდეთ. შანსებს როგორ შეაფასებდი?**

- 60 % მეტოქისაა, დანარჩენი - ჩვენი. ახლა მთავარია, ის 40 % მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ავსტრიელების ერთი რამ გამკვირვებია, რაც შეიძლება ჩვენს კოზირადაც კი იქცეს...

**- რას გულისხმობ?**

- პირველ მატჩამდე "ტრნავა" არ გვაფასებდა და დაისაჯა კიდეც. ეს ბარიერი გადავლახეთ. ქართულ პრესაში "აუსტრიასთან" კლუბის ერთ-ერთი წარმომადგენლის კომენტარს გავეცანი. ის აცხადებს, დაბალკოეფიციენტიანი მეტოქე შეგხვდაო. ამ კომენტარშიც იგრძნობა, რომ ავსტრიელები სათანადოდ არ გვაფასებენ. ჩემი აზრით, მეტოქის სათანადოდ შეუფასებლობა სერიოზული მინუსია.

უეფას თასი. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
ავსტრია-ვიტ ჯორჯია

# მუმლაძე ბოლომდე ბრძოლას გვპირდება

უეფას თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობას "აუსტრიისა" და "ვიტ ჯორჯიის" ერთი მატჩი გადაწყვეტს - ასე დაადგინა უეფამ. ეს თამაში კი ვენაში დღეს, სტადიონ "ფრანც ჰორზე" თბილისის დროით 21:30 საათზე დაიწყება.

ვენაში, სასტუმრო "არნიაში" დაბინავებულმა "ვიტ ჯორჯიამ" გუშინ სტადიონზე სწორედ 21:30 ივარჯიშა. წვრთნამ 50 წუთს გასტანა და მასში ვიტელთა თვრამეტივე ფეხბურთელი მონაწილეობდა. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ჯორჯიელთა მთავარ მწვრთნელ **რამაზ მუმლაძეს** დავუკავშირდით.

"ჩვენს გუნდში სრული საბრძოლო განწყობილებაა. ყველანი მობილიზებულები ვართ და ძალიან გვინდა, კიდევ ერთხელ გავახაროთ გულშემატკივარი. ჩვენი ყველა ფეხბურთელი მწყობრშია. მეტოქე ძლიერია, "აუსტრიას" მაღალი კლასის შემსრულებლები ჰყავს. თუმცა გამარჯვებულს ერთი მატჩი გამოავლენს და ეს ჩვენ სტიმულს გვმატებს. გპირდებით, ბოლომდე ვიბრძოლებთ. იმედი გვაქვს, ქართველი ემიგრანტები გვიქომაგებენ", - გვითხრა მუმლაძემ.

# ავსტრიელები სწრაფ და აგრესიულ თამაშს ელიან

"აუსტრია'-"ვიტ ჯორჯიის" დღევანდელ მატჩს ავსტრიულმა პრესამ არაერთი მასალა მიუძღვნა. შევეცდებით, გადმოგცეთ ის სიტუაცია, რაც ხდება მეტოქის ბანაკში.

*"ჩემმა ფეხბურთელებმა "რაპიდთან" მარცხი (0:3) უკვე დაივიწყეს და "ვიტ ჯორჯიასთან" თამაშზე სრულად არიან კონცენტრირებულნი. ბუნებრივია, მეტოქის შესწავლაზე ჩვენც ვიმუშავეთ და შეიძლება ითქვას, რომ "ვიტ ჯორჯიაზე" საკმაო წარმოდგენა გვაქვს.*

*ჩვენი მეტოქე ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. სწრაფ და აგრესიულ ფეხბურთს თამაშობს და სწორედ ასეთ თამაშს ველით ხუთშაბათს "ფრანც ჰორზე". ქართველთა გუნდი კლასიკური 4-4-2 სქემით თამაშობს და მოედნის ყველა მონაკვეთში იბრძვის. თბილისელებს ლეგიონერები არ ჰყავთ. ტექნიკურები არიან და ფიზიკური მომზადებაც არ აკლიათ. როგორც ჩანს, "ვიტ ჯორჯია" უკეთესი გუნდია, ვიდრე ყაზახური "ტობოლი", რომელიც უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე დავამარცხეთ.*

*უეფას გადაწყვეტილებით, "ვიტ ჯორჯიასთან" ერთი მატჩი გვაქვს. ჩვენთვის ქართველებთან მატჩი ფინალის ტოლფასია. "ვიტ ჯორჯია" თითქმის ყოველწლიურად ასპარეზობს ევროთასებზე და საერთაშორისო გამოცდილებაც არ აკლია. თბილისურ გუნდს ავსტრიულ კლუბებთან, "რიდსა" და "პაშინგთან" აქვს ნათამაშები. ასე რომ, მეტოქე სუსტი არაა, ხუთშაბათის მატჩი ჩვენთვის ფინალია, რომელიც უნდა მოვიგოთ"* - აცხადებს "აუსტრიის" მთავარი მწვრთნელი **კარლ დაქსბახერი**.

ავსტრიელებმა ვეტერინართა შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას თბილისშიც დარეკეს და სლოვაკეთშიც.

"აუსტრიის" წარმომადგენლები თბილისში პეტარ შეგრტსაც დაუკავშირდნენ. შეგრტი, რომელიც წლების წინ ავსტრიულ "ლეობენს" წვრთნიდა, ამჟამად საქართველოს საფეხბურთო ასოციაციის ტექნიკური დირექტორია, თუმცა მას თითქმის ვერაფერი დასტყუეს. შეგრტმა მხოლოდ ის უთხრა ავსტრიელებს, რომ "ვიტ ჯორჯიის" ორი ფეხბურთელი - კლიმიაშვილი და კვახაძე ეროვნული ნაკრების წევრია.

დაქსბახერის "მზვერავმა" გაცილებით მეტი გაიგო "ტრნავასგან", რომელიც "ვიტ ჯორჯიამ" წინა ეტაპზე ორი მატჩი ჯამში დაამარცხა. სლოვაკური კლუბის წევრმა ლადისლავ კუნამ მეტოქის ბევრ საინტერესო ნიუანსზე ილაპარაკა. სწორედ მან გამოგზავნა ვენაში "ვიტ ჯორჯიასთან" ნათამაშები მატჩის ჩანაწერი DVD-ზე".

როგორც ირკვევა, "აუსტრია" ქართველებთან თამაშს დანაკლისით ხვდება. ვენელთა გუნდს მეკარე **შაფარი** და მცველი **ზიმერი** ჰყავს დაშავებული. ავსტრიული მედიის მტკიცებით, ამ ორი ფეხბურთელის თამაში ძალზე საეჭვოა.

დაბოლოს, "დერ შტანდარტერმა" მეტოქე გუნდების სავარაუდო შემადგენლობები გამოაქვეყნა:

ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ: ალმერი - შტანდფესტი, ბაკი, მადლი, მაისტეროვიჩი - სულიმანი, ჰატენბერგერი (ან **ბლანშარი**), **სუნი - ბაზინა, აჩიმოვიჩი - დიაბანგი.**

ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ: **ბედიაშვილი - ლომაია, ბეჟვაია, რაზმაძე, დათუნაიშვილი - კვახაძე, ჯაფარიძე, მელქაძე, კლიმიაშვილი - ლიპარტია, კვარაცხელია.**

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**



# ზაქარიამ ვიზა აიღო

## ბეგლარიშვილს აიაქსში გზა გაეხსნა



ზაქარია ბეგლარიშვილი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და რუსთავის "ოლიმპის" 17 წლის ნახევარმცველ ზაქარია ბეგლარიშვილს ჰოლანდიურ გრანდში რეკომენდაცია "ფონდმა არველაძემ" გაუწია. მას შემდეგ ნიჭიერი ნახევარმცველი ამსტერდამში ჩავიდა, კლუბში გასინჯეს და მოეწონათ. ის ფრანკ დე ბურის ოჯახში ცხოვრობდა, რაც შემთხვევითი ამბავი არ გახლდათ. ფრანკ დე ბურმა "ლელოსთან" ინტერვიუში დაადასტურა, რომ ქართველი ახალგაზრდა "აიაქსში" მოეწონათ - მთავარია, სავიზო პრობლემები მოიხსნას და ზაქარიას გუნდში ჩარიცხავენო.

**- ზაქარია, დიდი ხანია ჰოლანდიის ვიზას ელოდები. რა ხდება, "აიაქსში" გადასვლა ხომ არ ჩაგეშალა?**

- არა, ვიზაც ავილე და ამსტერდამის რეისის ბილეთიც. 3 სექტემბერს ჰოლანდიაში უნდა გავემგზავრო. თუმცა ფედერაციიდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, 5 სექტემბერს რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან თამაში რომ არის, შეკრებაზე აუცილებლად უნდა გამოცხადდეო. ეს თამაში ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, ისევე როგორც კარიერის აწყობა. იმედია, ყველაფერი ისე მოგვარდება, რომ ნაკრებისა და ჩემი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვევა.

**- კი, მაგრამ რუსეთში ჩვენი დელეგაცია მიდის? თითქოს ფედერაცია უარზე იყო...**

- დიახ, მეც ასე გავიგე და ამის იმედი მაქვს. მოსკოვში ჩვენი უსაფრთხოება გარანტირებული არ იქნება. ფედერაცია დაინტერესებულია, ძლიერ ევროპულ კლუბში რომ მოვეწყო. ვგრძნობ მათ თანადგომას და მჯერა, ახლაც დამეხმარებიან.

**- მოკლედ, "აიაქსში" შენი ჩარიცხვა გადაწყვეტილია?**

- ჩავალ და "აიაქსის" დუბლებში ვივარჯიშებ. მეტის თქმა ახლა არ შემიძლია. რადგან მიმიწვიეს, მათთვის საინტერესო ვარ. თუმცა ჯერ კონტრაქტის გაფორმება გადაწყვეტილი არ არის.

**- ისევ დე ბურებთან იცხოვრებ?**

- დიახ, როგორც მითხრეს, რონალდ დე ბურის სიმამრთან უნდა ვიცხოვრო. ფრანკიც იქვე ცხოვრობს.

**- ახლა ისევ "ოლიმპში" ვარჯიშობ?**

- პაატა მეტრეველთან ვვარჯიშობ "თბილისში", მთელი ზაფხული არ გავჩერებულვარ. 19-წლამდელებში საკონტროლო შეხვედრა ჩავატარე რუმინეთთან. მოკლედ, ფორმას "აიაქსში" ჩარიცხვის იმედად ვინარჩუნებდი და იმედია, ყველაფერი დადებითად გადაწყდება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბურდული უკრაინაში დაბრუნდა და გიგიაძესთან მივიდა

27 წლის **ლადო ბურდული** დაახლოებით ორი თვე უგუნდოდ იყო, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, დღედღეზე ახალ კლუბში ჩაირიცხება.

საქართველოს ნაკრების ყოფილი მარჯვენაფლანგელი ახლა სიმფეროპოლის "ტავრიაშია", გუნდთან ერთად ვარჯიშობს და კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს.

უკრაინაში საფეხბურთო სეზონი უკვე დაწყებულია, ექვსი ტურის შემდეგ თექვსმეტგუნდა უმაღლეს ლიგაში "ტავრია" მეთოთხმეტე ადგილზეა. სიმფეროპელელებმა სეზონი ინტერტოტოს თასით დაიწყეს და ტურნირის მეორე ეტაპზე ფრანგულ "რენთან" დამარცხდნენ.

"ტავრიაში" არაერთ ჩვენებურს უთამაშია და არც ახლაა უქართველოდ - **ვასილ გიგაძე** გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია. გიგიაძე და ბურდული თანაგუნდელები იყვნენ კრივოი როგის "კრივბასში" და დიდი შანსია, ისევ ერთ გუნდში ითამაშონ.

ბურდული ბოლოს ლუგანსკის "ზარიაში" თამაშობდა. იქიდან თავისუფალი აგენტის სტატუსით წამოვიდა და ამითაც მიმზიდველი უნდა იყოს "ტავრიისთვის". ამ გუნდში მისვლამდე ლადოთი რუსული პრემიერლიგის იაროსლავლის "შინიკი" დაინტერესდა, თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა.

"ტავრიას" ცნობილი უკრაინელი სპეციალისტი **მიხეილ ფომენკო** წვრთნის, რომლემაც კარგად იცის ქართველი ფეხბურთელის ფასი: 1987-90 წლებში ლანჩხუთის "გურიას" თავკაცობდა და 1989 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის საგზური მოაპოვებინა.

**დავით თავართქილაძე**



ლადო ბურდული

# იმდენს დავფრინავთ, ჩვენზე ფილმს იღებენ

ქართველ ფეხბურთელებს სად არ უთამაშიათ, მათ შორის შორეულ აღმოსავლეთში, მაგალითად, ჩინეთში. ახლა იქ ჩვენებურები აღარ თამაშობენ, თუმცა იქვე, ვლადივოსტოკში არის ერთი ქართველი - რუსული პრემიერლიგის "ლუჩ ენერგიის" შუახაზელი ლევან გვაზავა.

ის ძალიან დიდ დროს ატარებს ჰაერში, კვირაში ათასობით კილომეტრს ფარავს და თან მოედანზე იბრძვის - "ლუჩში" თამაში განსაკუთრებულად რთულია.

გვაზავას ქართველი გულშემატკივარი მაინცდამაინც კარგად არ იცნობს. როცა ჩვენს ეროვნულ გუნდს ალენ ჟირესი წვრთნიდა, ერთხელ მოიწვია ის ნაკრებში, მაგრამ ლევანმა ტრავმა მიიღო და საქართველოში ჩამოსვლა ვერ მოახერხა. შარშან გვაზავა ნალჩიკის "სპარტაკის" ფეხბურთელი იყო, საიდანაც საამსეზონოდ გადავიდა ვლადივოსტოკურ გუნდში...



ბურთით ლევან გვაზავა

**- ლევან, რატომ აირჩიე "ლუჩი", სხვა ვარიანტი არ გქონდა? ვლადივოსტოკურ გუნდში თამაში ხომ ძალიან ძნელია.**

- "ნალჩიკთან" კონტრაქტი რომ დამიმთავრდა, "ლუჩმა" უმალ შემომთავაზა გადასვლა. მოგვიანებით ნალჩიკელებმა ხელშეკრულების გახანგრძლივება კი შემომთავაზეს, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი მქონდა "ლუჩში" ტრანსფერი.

**- ვლადივოსტოკურ კლუბში ბევრად უკეთესი პირობებია, ვიდრე ყაბარდოულში?**

- როცა "ნალჩიკიდან" წამოვედი, "ლუჩში" ბევრად უკეთესი პირობები იყო, ახლა კი "ნალჩიკსაც" გაუზარდეს დაფინანსება. "ლუჩში" იმიტომაც არის სხვა გუნდებზე მეტი ანაზღაურება, რომ რუსეთის ევროპული ნაწილიდან ძალიან შორს ვართ და დიდ დროს ვატარებთ თვითმფრინავში - ყოველივე ეს კონტრაქტში გათვალისწინებულია.

**- "ლუჩმა" მგზავრობის გრაფიკი შეცვალა - ეს გიადვილებთ საქმეს თუ პირიქით?**

- წინა სეზონში, როცა "ლუჩს" ზედიზედ ორი გასვლითი მატჩი ჰქონდა, თამაშამდე ერთი კვირით ადრე ჩადიოდა მოსკოვში და იქ ემზადებოდა სანკტ-პეტერბურგში თუ სამარაში გასამართავი შეხვედრისთვის. ახლა ასე აღარ არის, სულ აქეთ-იქით დავფრინავთ და ეს მართლაც დამღლელია.

**- ერთ მგზავრობას დაახლებით რამდენ საათს უნდებით?**

- საკმაოდ ბევრს, მაგალითად, ვლადივოსტოკიდან მოსკოვში ჩაფრენას 9-10 საათი სჭირდება.

**- „ლუჩი" რამდენად პოპულარულია ვლადივოსტოკში და საერთოდ რუსეთში?**

- როცა მოსკოვში ჩავდივართ, თამაშებზე ბევრი ხალხი არ დადის. რუსეთის დედაქალაქში სტადიონზე მაშინ მიდის ძალიან ბევრი გულშემატკივარი, როცა დედაქალაქური დერბია ან როცა მოსკოვში სანკტ-პეტერბურგის "ზენიტი" ჩადის. თუ პერიფერიაში გვაქვს თამაში, მაშინ ბევრი მაყურებელი დადის, ვლადივოსტოკში კი ჩვენს მატჩებს 14-15 ათასი კაცი ესწრება.

**- "ლუჩი" კერძო სტრუქტურაა თუ ქალაქის ბიუჯეტი გაფინანსებთ?**

- ჩვენი პატრონი ქალაქის მთავრობაა და სტაბილური დაფინანსება გვაქვს.

**- ვლადივოსტოკში მხოლოდ რუსები არ ცხოვრობენ. "ლუჩის" თამაშებზე სხვა ეროვნების გულშემატკივრებიც დადიან?**

- აქ ძირითადად რუსები ცხოვრობენ, თუმცა ჩინელებიც ბევრნი არიან. მათ აქ გადმოსასვლელად ვიზა არ სჭირდებათ და ჩვენს მატჩებზეც უხვად დადიან. „ლუჩი" მართლაც განსაკუთრებული გუნდია...

**- კიდევ რითია თქვენი გუნდი განსაკუთრებული?**

- ჩვენით ინგლისელი კინემატოგრაფისტებიც კი დაინტერესდნენ. გაიგეს, ამდენს რომ დავფრინავთ აქეთ-იქით და ჩვენზე ახლა ფილმს იღებენ.

**- ისე გამოდის, რომ "ლუჩის" ფეხბურთელები უკმაყოფილონი ხართ პირობებით - მარტო ხელფასი ხომ არ არის საქმე...**

- გუნდი პირობებით მაინც კმაყოფილია, სირთულეებს უნდა გავუძლოთ. თუმცა ასეთი რეჟიმი ორგანიზმზე კარგად არ მოქმედებს. მოსკოვთან დროში სხვაობა შვიდი საათია. ხშირად ძილი გვაკლია, რის გამოც კვების რეჟიმიც დარღვეული გვაქვს, ერთი სიტყვით, "ლუჩის" ფეხბურთელობა ძალიან ძნელია.

**- თექვსმეტგუნდა რუსულ პრემიერლიგაში მე-14 ადგილზე ხართ. ლიგიდან ბოლო ორი გუნდი ვარდება. არგავარდნისთვის იბრძვით და ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარაში გაძლიერებისთვის არ გიზრუნიათ...**

- სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე დღე რჩება და ალბათ არავის დავიმატებთ. ვფიქრობ, ისედაც საკმაოდ კარგი გუნდი ვართ.

**- მე-14 ადგილზე ხართ...**

- ეგ იმიტომ, რომ ახალი გუნდი შეიქმნა და შეთამაშება გვაკლია. შემადგენლობის მხრივ რუსული პრემიერლიგის საშუალო გაქანების გუნდი გვეთქმის.

**- „ნალჩიკში" შემტევი ნახევარმცველიც იყავი, "ლუჩში" რა ფუნქცია გაკისრია?**

- 4-2-3-1 სქემით ვთამაშობთ, სამი ნახევარმცველით შეკრულ რგოლში ცენტრალური შუახაზელი ვარ.

**- სეზონის დასრულების შემდეგ „ლუჩიდან" წახვალ? ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, პრემიერლიგაში ადგილს შეინარჩუნებთ თუ არა?**

- კონტრაქტი გაისად ივნისში მიმთავრდება. თუ გავვარდებით, არ ვიცი, რა სიტუაცია იქნება „ლუჩში". მოკლედ, ვნახოთ...

**- რუსეთ-საქართველოს ომზე რას ამბობენ ვლადივოსტოკში?**

- არაფერს, ამ ამბავს ვლადივოსტოკში დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია. მეც ვერ ვგრძნობ აგრესიას ან ცუდ დამოკიდებულებას აქაურებისგან.

**- მოკლედ, ვდადივოსტოკში ცხოვრებით კმაყოფილი ხარ.**

- ვლადივოსტოკი დიდი, კარგი ქალაქია, სტადიონი და ბაზაც ნორმალური გვაქვს. ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არა დიდი სხვაობა დროში.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ ლევან ხმალაძესთან

# იმედია, სანაკრებო შანსი ისევ მომეცემა



ლევან ხმალძე

არიან მოთამაშეები, რომლებიც მოედანზე ბევრს მუშაობენ, მაგრამ მაინც ჩრდილში რჩებიან. ასეთია საყრდენ ნახევარმცველთა ხვედრი. არადა, ნებისმიერ გუნდში მათი როლი განსაკუთრებულია. ასეა თბილისის დინამოელი ლევან ხმალაძეც. უელსში გამოჩნდა, რომ ის ნაკრებსაც შეიძლება გამოადგეს. ნაგებული პირველი ტაიმის შემდეგ, ექტორ კუპერმა მოედანზე 22 წლის ნახევარმცველი შეუშვა. ხმალაძის დიდი წვლილიც იყო, რომ მოედნის ცენტრში სურათი ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა. ბრიტანელები წინ თამამად ველარ მიდიოდნენ. ერთი სიტყვით, ლევანის სანაკრებო დებიუტი წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს. კუპერმა ის ირლანდიასა და იტალიასთან სასექტემბრო მატჩებისთვისაც გამოიძახა.

**- ლევან, უელსში, თუ არ მეშლება, სულ ბოლოს ალმოჩნდი, როცა გაირკვა, რომ რამდენიმე ფეხბურთელი ვერ ჩამოდიოდა.**

- არ ვიცი, შემთხვევით მოვხვდი თუ როგორ. ვიცი ის, რომ პეტარ შეგრტის მადლობელი ვარ ამ ნდობისთვის. კუპერი ქართველი მოთამაშეების დიდ ნაწილს არ იცნობდა და მას სიის შედგენაში დაეხმარნენ. ეს კი შეგრტს ჰქონდა დავალებული.

**- სხვათა შორის, დებიუტანტისთვის დამახასიათებელი ნერვიულობა არ გეტყობოდა.**

- მეორე ტაიმში ვითამაშე და ამ დროისთვის გუნდი უკვე კარგად თამაშობდა. იმედია, ირლანდია-იტალიასთანაც მომეცემა შანსი. ნაკრებში კი გამომიძახეს, მაგრამ ეს გაფართოებული სიაა. 18 კაცში მოხვედრა და მოედანზე გასვლა სულ სხვა რამეა.

**- მატჩის შემდეგ კუპერი თუ გესაუბრა?**

- მატჩის შემდეგ არა. შეხვედრამდე, დილით, ყველა ფეხბურთელთან გაცნობითი საუბრები ჰქონდა. მეც დამიძახა და მკითხა, სად, რომელ პოზიციაზე ვთამაშობდი და თავად სად მერჩივნა თამაში.

**- თუ არ მეშლება, არათუ ეროვნულში, ახალგაზრდულ ნაკრებშიც არ გათამაშებენ.**

- ასეა, ახალგაზრდულ ნაკრებში მხოლოდ ერთხელ ვითამაშე და ისიც ალბანეთთან ამხანაგურში. მალტის ნაკრებთან კი განაცხადში ვიყავი. ეს იყო და ეს. არასდროს მიძახებდნენ და ძალიან გამიხარდა, უელსთან ყურადღება რომ მომაქციეს.

ეს თამაშიც ისეთ დროს ჩატარდა, არ შეიძლებოდა, არ მოგვენდომებინა. ყველა ვხვდებოდით, რომ ხალხს ჩვენი გამარჯვება უზომოდ გაახარებდა, გაამხნევებდა. გვინდოდა, იმ დღეებში მთელი მსოფლიოსთვის საუკეთესოდ გაგვეცნო საქართველო და მისი ნაკრები. ამ თავდადების წყალობით გავიმარჯვეთ.

**- შენი ამპლუის მოთამაშეები ჩრდილში ხართ - ეს არ გალიზიანებს?**

- სულაც არა, იმიტომ, რომ ცენტრალური ნახევარმცველობა საუკეთესო პოზიციად მიმაჩნია, უფრო სასარგებლოდ კი - საყრდენი ნახევარმცველობა და სულაც არ მგონია, რომ ჩემი სამუშაო უმნიშვნელოა.

**- ყველა მწვრთნელი თავისებურია. კუპერმა თავი რითი დაგამახსოვრა?**

- დაცვას დიდ ყურადღებას აქცევს და ალბათ, მართალიც არის. გუნდის შენება ძლიერი დაცვით იწყება. მისი ხელმძღვანელობით სულ ორი დღე ვივარჯიშე და კუპერს ნორმალურად ვერც გავიცნობდი. იმედია, ამის საშუალება მომეცემა. საწყენი კი არის, ირლანდიას თბილისის ნაცვლად გერმანიაში რომ შევხვდებით. სახლში ბევრად მეტი უპირატესობა გვექნებოდა. ცუდია, ასე რომ გადაგვიწყვიტეს.

**- "დინამოს" მთავარ მწვრთნელზე რას გვეტყოდი?**

- ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ცობელი მენდობა. საკმაოდ სწრაფად, კარგი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა. ფეხბურთელებისთვის ეს ყველაზე კარგი რამ არის. ვხედავ, რომ, ის "დინამოში" დიდ სამუშაოს ასრულებს.

**- "დინამოში" კიდევ დიდხანს დარჩები?**

- კონტრაქტი კიდევ ერთი წელი მაქვს.

**- დამეთანხმები, ბოლნისის "სიონში"გატარებულმა სეზონმა შენზე კარგად იმოქმედა.**

- რა თქმა უნდა. "სიონი" მაჩანჩალა გუნდი არ ყოფილა, ლიდერი იყო და დიდი ამბიციები გააჩნდა. მაშინ ყველა შეხვედრა ჩავატარე და "დინამოში" ადგილი რომ დავიმკვიდრე, რა თქმა უნდა, "სიონის" პერიოდი ძალიან დამეხმარა.

**მერაბ მამულაშვილი**

# იაშვილი დინამო 2-ში ითამაშებს?



სანდრო იაშვილი

სამწუხაროდ, ვერა და ვერ გაირკვა **სანდრო იაშვილის** მომავალი კლუბის სახელი. ჩვენი ინფორმაციით, მისით რუსთავის "ოლიმპი" დაინტერესდა, მაგრამ "დინამოს" მოთამაშის გადაყვანა ვერ მოახერხა. გუნდები საარენდო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. იაშვილი თბილისის "დინამოს" კი ეკუთვნის, მაგრამ გუნდი უკვე დაკომპლექტებულია და მასში სანდროს ადგილი არ მოიძებნა.

თავდამსხმელი ამჟამად "დინამო 2-თან" ერთად ვარჯიშობს და არ არის გამორიცხული, ზამთრამდე სწორედ ამ გუნდის შემადგენლობაში, პირველ ლიგაში ითამაშოს. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასეთი სავალალო სურათი იკვეთება, რაც გაოცებას იწვევს – ნუთუ, საქართველოში ორი წლის წინ საუკეთესო ფეხბურთელად და თავდამსხმელად ალიარებული მოთამაშის ადგილი პირველი ლიგაშია?

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ დონალდ ჯიუსსთან

# მე მიყვარს საქართველო

## კამერუნის ნაკრები თუ საქართველოს პასპორტი?

18 წლის კამერუნელი **დონალდ ჯიუსი** თბილისის "დინამომ" "ბორჯომიდან" დაიბრუნა. შემტევი ნახევარმცველი თბილისელებმა შარშან გადაიბირეს, რადგან ნიჭი და პოტენციალი აშკარად ეტყობოდა. მაშინ ფეხბურთელი ჯერ კიდევ "ჭყინტი" იყო და "ბორჯომში" სათამაშო პრაქტიკის მისაღებად გაუშვეს. ახალ კლუბში დონალდმა თავი ისახელა, ამასთან ქართულიც აითვისა. "დინამოში" დაბრუნებული კამერუნელი "ლელოს" ესაუბრა.

**- დონალდ, შენი სახელისა და გვარის გარდა შენზე არაფერი ვიცით. გააცანი ქართველ გულშემატკივარს თავი.**

- კამერუნელი რომ ვარ, ეს ვიცით. 1990 წლის 3 მარტს დავიბადე. პატარა ბიჭი ვიყავი, როდესაც კამერუნის უმაღლესი დივიზიონის "მონტ კამერუნ ბუიაში" ამიყვანეს.

**- დუბლებში გათამაშებდნენ?**

- არა, "მონტის" ძირითადის მოთამაშე ვიყავი. თუ გინდათ, ინტერნეტში სურათებს გაჩვენებთ (დაჯდა კომპიუტერთან და სურათები მოგვიძებნა - რედ.).

**- ასეთი პატარა ბიჭი ძირითადში თამაშობდი?**

- 17 წლის ძირითადში ამიყვანეს, მაგრამ მალე საქართველოში მომიწვიეს, სამშობლოში დიდხანს არც მითამაშია.

**- იუნიორთა ნაკრებში გიწვევდნენ?**

- ნაკრების წევრი არასდროს ვყოფილვარ.

**- საქართველოში როგორ მოხვდი?**

- ჩემი კამერუნელი მენეჯერი ქართველ კოლეგას დაუკავშირდა, რისი წყალობითაც თბილისის "დინამოში" გამსინჯეს და დავრჩი.

**- ფეხბურთელები საქართველოდან უცხოეთში გარბიან. ეტყობა, კამერუნის კლუბები ჩვენზე ღარიბები არიან.**

- იქაც არის ნორმალური პირობები, მაგრამ საქართველოში უკეთესია.

**- მაგალითად, 100 დოლარი კამერუნში კარგი ხელფასია?**

- დიახ, კარგი ხელფასია! კამერუნი მდიდარი ქვეყანა არ არის.

**- "ბორჯომში" გატარებული ერთი სეზონი წაგადგა?**

- რა თქმა უნდა! ჩემს თავს პროგრესი შევატყვე. მჭირდებოდა ასეთ გუნდში თამაში, ახლა უფრო თავდაჯერებული გავხდი. ასაკით პატარა ვარ და გამოცდილ მოთამაშეებთან ურთიერთობა მჭირდებოდა. საქართველოს უმაღლესმა ლიგამ კი გამზარდა.

**- ჯერ მაინც პატარა ბიჭი ხარ, უფროსებთან თამაში არ გაგიჭირდა?**

- პატარა კი ვარ, მაგრამ ბევრი მოძრაობა შემიძლია და თავს არავის ვაჩაგვრინებ. შრომა არ მეზარება და პრობლემა თითქმის არ მაქვს. ერთი ეგ იყო, ჩამოსვლამდე არ ვიცოდი, შავკანიანების მიმართ ქართველებს როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ. ოჯახში ამაზე ძალიან ნერვიულობდნენ. თბილისიდან დავურეკე, არ ინერვიულოთ, კარგ ადამიანებში მოვხვდი-მეთქი. ერთადერთხელ იყო, "ბორჯომი" თასზე "ამერს" რომ შეხვდა, ვილაცამ დედა შემაგინა... ქართული ვიცი და ვერ მოვითმინე. თუმცა ეს იყო გამონაკლისი. აქ კარგი ხალხი ცხოვრობს.

**- შენ გარდა, "დინამოს" ყველა უცხოელი სამშობლოში დაბრუნდა. დონალდ, რუსეთის ბომბების არ შეგეშინდა?**

- იმიტომ არ წავედი, რომ ძალიან მიყვარს საქართველო. "დინამო" მეგობრული გუნდია და ბიჭების ასეთ დროს მიტოვება არ მინდოდა. ორი დღით ერევანში ვიყავი, მაგრამ უკან გამოვბრუნდი. არ მინდოდა, ჩემი მეგობრების ქვეყანა დაებომბათ.



დონალდ ჯიუსი

**- „დინამოში" ვისთან მეგობრობ?**

- თითქმის ყველასთან. ძალიან მიყვარს ოდიკაძე. კარგი ბიჭები არიან დილმელაშვილი, ნერგაძე, ოვონო, აკირემი... როდესაც შეცდომას დავუშვებ, კი არ მიყვირიან, პირიქით, მამხნევებენ. ასეთ გუნდში ფეხბურთელი ითამაშებს და შესაძლობლობებს ბოლომდე გამოავლენს.

ჩემი თავი იმდენად არ მადარდებდა, როგორც დედაჩემის მდგომარეობა. საქართველოს ამბების გამო ძალიან უნერვიულია და ცუდად გამხდარა. დამირეკა, ტელევიზორში ვუყურე საქართველოში რაც ხდება და აუცილებლად ჩამოდიო. ვუთხარი, საშიში არაფერია, ჩამოსვლას ნუ მთხოვ, თორემ უფრო ვინერვიულებ-მეთქი. დილმის ბაზაზე მეორე დედა შევიძინე - ნანული დეიდა. ის გემრიელ საჭმელებს ამზადებს, სულ ამბობს, დონალდი ძალიან მიყვარსო. აქ მართლა კარგად ვარ.

**- აფრიკელისთვის თოვლი უცხო ხილია. ალბათ, ბორჯომში პირველად ნახე, არა?**

- ჰო, ასე იყო. თოვლი არ მიყვარს, რადგან შეიძლება ფეხი აგისხლტეს და წაიქცე. ცხოვრებაც უხალისოა, სიცივეც ძალიან არ მიყვარს. ცოტა თოვლი სხვა საქმეა, რამენაირად გავუძლებ.

**- კამერუნელი ფეხბურთელები უფრო საფრანგეთსა და ესპანეთში მიდიან. შენ საქართველოსკენ რამ გადმოგისროლა?**

- არ მყავდა ცნობილი მენეჯერი. ესეც არაა პრობლემა, "დინამოში" თუ ვითამაშე, მერე ევროპაში წასვლა არ უნდა გამიჭირდეს. ჩემი მეგობრები ხომ საფრანგეთში, ესპანეთსა და ინგლისში თამაშობენ.

**- ალბათ, საქართველოში რომ თამაშობ, შენი ასაკის ნაკრებში ამიტომაც არ გიწვევენ.**

- სხვათა შორის, ახლახან მიმიწვიეს. ორი კვირის წინ კამერუნის 19-წლამდელთა ნაკრების დირექტორი დამიკავშირდა და შეკრებაზე მიმიწვია. აფრიკის თასის შესარჩევ ჯგუფში, კონგოს 19-წლამდელებს ვეთამაშებით.

**- ანუ მიდიხარ?**

- ჯერ არ ვიცი. დირექტორს ვუთხარი, რომ თავად წასვლა მსურდა, მაგრამ ეს საკითხი ბუბასთან (ტყავაძესთან) უნდა შეათანხმოს. ალბათ, "დინამო" უპრობლემოდ გამიშვებს.

ძალიან გამიხარდა მიწვევა, იმიტომ, რომ კამერუნის 19-წლამდელებში "მონაკოს", "რენის", "ლილის" და ბევრი სხვა ცნობილი გუნდის წევრები მიიწვიეს. იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან, მეც ძლიერ ლიგაში ვითამაშებ.

**- სხვათა შორის, კულუარებში საუბრობდნენ შენს ნატურალიზაციაზე. თუ შემოგთავაზებენ საქართველოს ნაკრებში თამაშს, უარს იტყვი?**

- ნაკრებში თამაში ძალიან მინდა. თუ კამერუნში არ მათამაშეს, რატომაც არა?! საქართველოში თავს კარგად ვგრძნობ. სხვათა შორის, ეს კამერუნის ნაკრების დირექტორსაც ვუთხარი.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხორვატია

ხორვატიის ნაკრების თავკაცმა **სლავენ ბილიჩმა** 22-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. გამოძახებულია "ზენიტის" მცველი **ივიცა კრიჟანაცი**, რომელმაც სადებიუტო მატჩი 20 აგვისტოს სლოვენიის წინააღმდეგ ჩაატარა. 6 სექტემბერს ხორვატია ყაზახეთს უმასპინძლებს, ოთხი დღის შემდეგ — ინგლისს. ბილიჩს ორი წამყვანი ფეხბურთელი ვერ დაეხმარება — "არსენალის" თავდამსხმელი **ედუარდო და** "პორტსმუთის" ნახევარმცველი **ნიკო კრანჩარი**. ედუარდოს ტრავმის ამბავი ყველას კარგად მოეხსენება. კრანჩარი სლოვენიასთან მატჩისას დაშავდა. მან სამთვიანი შვებულება გამოიწერა.

**მეკარეები** - სტიპე პლეტიკოშა (სპარტაკი), ვედრან რუნიე (ლანსი);

**მცველები** - ვედრან ჩორლუკა (მანჩესტერ სიტი), დარიო შიმიჩი (მონაკო), რობერტ კოვაჩი (დორტმუნდი), იოსიპ შიმუნიჩი (ჰერტა), დარიო კნეზევიჩი (იუვენტუსი), ჰრვოიე ვეიჩი (ტომი), ივიცა კრიჟანაცი (ზენიტი);

**ნახევარმცველები** - დანიელ პრანიჩი (ჰერენვეენი), დარიო სრნა (შახტარი), ნიკო კოვაჩი (ზალცბურგი), ლუკა მოდრიჩი (ტოტენჰემი), იერკო ლეკო (მონაკო), ივან რაკიტიჩი (შალკე), ოგნიენ ვუკოევიჩი (დინამო კიევი), ნიკოლა პოკრივაჩი (მონაკო);

**თავდამსხმელები** - მლადენ პეტრიჩი (ჰამბურგი), ივიცა ოლიჩი (ჰამბურგი), ივან კლასნიჩი (ნანტი), ნიკოლა კალინიჩი (ჰაიდუკი), მარიო მანძუკიჩი (დინამო ზაგრები)

## შოტლანდია

შოტლანდიელთა თავკაცმა **ჯორჯ ბარლიმ** სექტემბრის საკვალიფიკაციო მატჩებისათვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. შეკრებაზე 25 ფეხბურთელი გამოცხადდება. 6 სექტემბერს შოტლანდიელები სტუმრად მაკედონიას შეხვდებიან, ხოლო 10 სექტემბერს, ასევე სტუმრად — ისლანდიას.

**მეკარეები** - კრეიგ გორდონი (სანდერლენდი), დევიდ მარშალი (ნორვიჩი), ალან მაკგრეგორი (რეინჯერსი);

**მცველები** - გრემ ალექსანდერი (ბარნლი), დარენ ბერი (ფოლკირკი), კრისტოფ ბერა (ჰართსი), გარი კოლდველი (სელტიკი), კალუმ დავიდსონი (პრესტონი), სტივ მაკმანუსი (სელტიკი), კევინ მაკნოტონი (კარდიფი), გარი ნეისმითი (შეფილდ იუნაიტედი), დევიდ ვეირი (რეინჯერსი);

**ნახევარმცველები** - სკოტ ბრაუნი (სელტიკი), კრის კომონსი (დერბი), დარენ ფლეტჩერი (მანჩესტერ იუნაიტედი), პოლ ჰარტლი (სელტიკი), შონ მელონი (სელტიკი), ჯეიმს მორისონი (ვესტ ბრომვიჩი), ბარი რობსონი (სელტიკი), კევინ ტომპსონი (რეიჯერსი);

**თავდამსხმელები** - კრის ბოიდი (რეინჯერსი), დევიდ კლარკსონი (მოზერველი), ჯეიმს მაკფადენი (ბირმინგემი), კენი მილერი (რეინჯერსი), გარი ოკონორი (ბირმინგემი).

## შვედეთი

შვედეთის ნაკრების თავკაცის, **ლარს ლაგერბაკის** სიაში 22 ფეხბურთელია. გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლას ზედიზედ მეექვსედ აპირებს. შვედეთი შესარჩევ ტურნირს ალბანეთსა (სტუმრად) და უნგრეთთან (შინ) მატჩებით დაიწყებს. აი, ლაგერბაკის განაცხადი:

**მეკარეები** - ანდრეას ისაკსონი (ეინდჰოვენი), იოჰან ვილანდი (ელფსბორგი);

**მცველები** - ანდრეას გრანკვისტი (გრონინგემი), პეტერ ჰანსონი (რენი), დანიელ მაისტროვიჩი (აეკ), ოლოფ მელბერგი (იუვენტუსი), მიკაელ ნილსონი (პანათინაიკოსი), მაქს ფონ შლებრიუგე (ბრონდბიუ), ფრედრიკ სტოორი (ფულჰემი), ოსკარ ვენდტი (კოპენჰაგენი);

**ნახევარმცველები** - დანიელ ანდერსონი (მალმიო), ვიქტორ ელმი (კალმარი), სამუელ ჰოლმენი (ბრონდბიუ), კიმ კალსტრიომი (ლიონი), სებასტიან ლარსონი (ბირმინგემი), ტობიას ლინდეროტი (გალათასარაი), ანდერს სვენსონი (ელფსბორგი), კრისტიან ვილჰელმსონი (ალ-ჰილალი);

**თავდამსხმელები** - მარკუს ბერგი (გრონინგენი), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), ჰენრიკ ლარსონი (ჰელსინგბორგი), მარკუს როზენბერგი (ვერდერი).

## დანია

**მორტენ ოლსენმა** სექტემბრის საკვალიფიკაციო მატჩებისათვის 15 ფეხბურთელი გამოიძახა. ამ სიას რვა მოთამაშე მომავალ უქმეებზე დაემატება. დანიელები ვერც გერმანიის მუნდიალზე გავიდნენ და ვერც ავსტრიასა და შვეიცარიაში გამართულ ევროპის პირველობაზე. ორი წარუმატებელი მცდელობის მიუხედავად, ოლსენი ისევ ნაკრებშია და ნავსის გასატეხად ემზადება. 6 სექტემბერს დანია უნგრეთში გაემგზავრება, ხოლო 10 სექტემბერს - პორტუგალიაში. დღეისათვის გუნდში ეს ფეხბურთელები ემზადებიან:

**მეკარეები** - იესპერ კრისტიანსენი (კოპენჰაგენი), სტეფან ანდერსენი (ბრონდბიუ), ტომას სორენსენი (სტოკ სიტი);

**მცველები** - დანიელ აგერი (ლივერპული), ლარს იაკობსენი (ევერტონი), მარტინ ლაურსენი (ასტონ ვილა), პერ კროლდრუპი (ფიორენტინა);

**ნახევარმცველები** - კრისტიან პოულსენი (იუვენტუსი), დანიელ იენსენი (ვერდერი), მიკაელ სილბერბაუერი (უტრეხტი), მარტინ რეტოვი (ჰანზა), მარტინ ვინგაარდი (ესბერგი);

**თავდამსხმელები** - დენის რომედალი (აიაქსი), იონ დალ ტომასონი (ფეიენოორდი), ნიკლას ბენდტნერი (არსენალი).

## ნორვეგია

**სტეფან ივერსენი** ნორვეგიის ნაკრებში ბრუნდება. 20 აგვისტოს, ირლანდიასთან ამხანაგური მატჩის (1:1) წინ, მთავარმა მწვრთნელმა **აგე ჰარეიდემ** ის გუნდიდან დაითხოვა. ვეტერანი თავდამსხმელი დისციპლინის დარღვევის გამო დასაჯეს. ივერსენმა მომხდარი საჯაროდ მოინანია და აი, ისევ სანაკრებო განაცხადში ვხედავთ. სიაშია "ვოლერენგას" თავდამსხმელი **მოჰამედ აბდელაუი**, რომელსაც დებიუტი ირლანდიელებთან მატჩისას ჰქონდა. მაშინ ის დაშავებული **ჯონ ქერიუს** ნაცვლად გამოიძახეს. ქერიუ გამოჯანმრთელდა, მაგრამ აბდელაუიზე უარი მაინც არ უთქვამთ.

**მეკარეები** - რუნე ალმენინგ იარსტეინი (რუსენბორგი), იონ კრუდსენი (სტაბეკი), ჰააკონ ოპდალი (ბრანი);

**მცველები** - ბრედე ჰანგელანდი (ფულჰემი), ჯონ არნე რიისე (ტომა), ტომ ჰიოგლი (ტრომსო), ატლე როან ჰაალანდი (ოდენსე), ტორე რეგინიუსენი (ტრომსო), მორტენ მორისბაკ სკიონსბერგი (სტაბეკი);

**ნახევარმცველები** - მარტინ ანდრესენი (ვოლერენგა), კრისტიან გრინდჰაიმი (ჰერენვეენი), დანიელ ფრედჰაიმ ჰოლმი (ვოლერენგა), კრისტოფერ ჰესტადი (ვოლერენგა), მორტენ გამსტ პედერსენი (ბლექბერნი), ფრედრიკ სტრომსტადი (ლე მანი), ფრედრიკ ვინსნესი (სტრომსგოდსეტი);

**თავდამსხმელები** - ჯონ ქერიუ (ასტონ ვილა), ტორსტეინ ჰელსტადი (ლე მანი), მოჰამედ აბდელაუი (ვოლერენგა), ერიკ ნევლანდი (ფულჰემი), სტეფან ივერსენი (რუსენბორგი).

## ჩრდილოეთი ირლანდია

**ნაიჯელ უორთინგტონის** 22-კაციან სიაში ახალი სახეები არ არიან. 6 სექტემბერს ირლანდიელები სტუმრად სლოვაკეთს შეხვდებიან, ხოლო 10 სექტემბერს ჩეხეთს უმასპინძლებენ. მათი შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები** - მაიკ ტეილორი (ბირმინგემ სიტი), ალან მანუსი (ლინფილდი), ჯონათან ტაფი (პარტიკ თისლი);

**მცველები** - კრის ბეირდი(ფულჰემი), სტივენ კრეიგანი (მოზერველი), გარეთ მაკოლი (იფსვიჩი), ჯონათან ევანსი (მანჩესტერ იუნაიტედი), მაიკლ დაფი (ბარნლი), რაიან მაკგივერნი (მანჩესტერ სიტი), ჯორჯ მაკარტნი (ვესტ ჰემი), აარონ ჰიუზი (ფულჰემი);

**ნახევარმცველები** - სტივ დევისი (რეიჯერსი), მაიკლ ოკონორი (ქრუ), სემი კლინგენი (ნორვიჩი), კრის ბრანტი (ვესტ ბრომვიჩი), დინ შაილსი (ჰიბერნიანი), კიტ გილესპი (შეფილდ იუნაიტედი);

**თავდამსხმელები** - დევიდ ჰილი (ვანდერლენდი), უორენ ფინი (კარდიფ სიტი), მარტინ პატერსონი (ბარნლი), კაილ ლაფერტი (რეინჯერსი), პიტერ ტომპსონი (სტოკპორტი).

ესპანური ბაზარი

# ვილიას ახალი კონტრაქტი



დავიდ ვილია კვლავ ვალენსიისათვის გაიტანს

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ სატრანსფერო ფანჯარა ერთი დღით გაახანგრძლივა. ესპანეთში ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვა 1-ელ სექტემბერს დასრულდება და არა 31 აგვისტოს, როგორც ევროპის უმეტეს ქვეყანაში. გადაწყდა ისიც, რომ იანვრის ფანჯარა 1-ელი რიცხვის ნაცვლად, 2-ში გაიხსნება და 31 იანვრამდე გასტანს. ესე იგი, ზაფხულის ფანჯარამ ეს ერთი დამატებითი დღე ზამთრის ფანჯრისაგან ისესხა. ესპანეთში მორიგი საფეხბურთო სეზონი ამ უქმეებზე დაიწყება.

ბოლო ცნობები ესპანეთის სატრანსფერო ბაზრიდან: **დავიდ ვილია** "ვალენსიაში" დარჩა. ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელმა კონტრაქტი 2014 წლამდე გააგრძელა. ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა. ესპანელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ფეხბურთელი საგრძნობლად მომატებულ ხელფასს მიიღებს. ვილიამ ევროპის ჩემპიონატზე ოთხი გოლი გაიტანა. ის ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ევროს დასრულების დღიდან, დავიდს სხვადასხვა ევროპულ გრანდში გადასვლას უწინასწარმეტყველებდნენ. გუშინდელმა ამბავმა სპეკულაციებს წერტილი დაუსვა. კონტრაქტის გაფორმებისთანავე, ვილიამ და "ვალენსიის" პრეზიდენტმა **ვისენტე სორიანომ** ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. მხარეები შეთანხმების გამო კმაყოფილებას ვერ ფარავდნენ.

*"ვალენსიაში" დარჩენა მსურდა. სასიხარულო იყო, რომ ჩემს შეძენას სხვა კლუბებიც ცდილობდნენ. ვიცი, რომ "ვალენსიას" დიდძალ ფულს სთავაზობდნენ. კლუბმა ცდუნებას გაუძლო და ჩემი დატოვება გადაწყვიტა. მადლობის მეტი რა მეთქმის. მადლობა "ვალენსიის" თითოეულ თანამშრომელს იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ,"* - თქვა ვილიამ. პრეზიდენტმა სორიანომ გაამხილა, რომ მადრიდის "რეალმა" ვილიას ტრანსფერში 40 მილიონი ევრო შესთავაზა. "ღამურებს" ძლიერი გუნდის გაკეთება სურთ. კლუბს წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვაზე არც კი უფიქრია.

"ლივერპულმა" "ესპანიოლის" მარცხენა გარემარბი **ალბერტ რიერა** შეიძინა. მერსისაიდელებს ეს სიამოვნება 10 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. რიერას მეორე ლივერპულური კლუბი, "ევერტონიც" ეპატიჟებოდა, მაგრამ უფრო ტიტულოვანმა გაიმარჯვა. **რაფა ბენიტესმა** კატალონიელებს თავდაპირველად 7 მილიონი შეაძლია. "ესპანიოლი" გარიგებას დათანხმდა. ამ დროს "ევერტონმა" 8 მილიონი შეაძლია. "ლივერპულმა" უკან არ დაიხია, ჯიბეზე ხელი გაიკრა და 10 მილიონს ჩამოვიდა. რიერამ ინგლისში რამდენიმე თვე გაატარა. 2006 წელს "ესპანიოლმა" ის "მანჩესტერ სიტის" იჯარით დაუთმო. ალბერტმა პრემიერლიგაში 16 მატჩი ჩაატარა, თავი ვერ გამოიჩინა და შინ გაემგზავრა.

ინგლისური ბაზარი

# პავლიუჩენკო ტოტენჰემში, არშავინი?

## სანდერლენდი ფერდინანდით გაძლიერდა, ბლექბერნმა კი ფაულერს იმედი გაუცრუა

**რომან პავლიუჩენკო** "ტოტენჰემში" გადადის. მოსკოვის "სპარტაკის" თავდამსხმელმა ეს ინფორმაცია თავად გაავრცელა. პავლიუჩენკო სამუშაო ვიზის მოლოდინშია. ის ლონდონში უკვე იმყოფებოდა. სამედიცინო შემოწმება გაიარა და საბუთების მოსამზადებლად კვლავ რუსეთის დედაქალაქში დაბრუნდა. გუშინ "სპარტაკმა" კიევის "დინამოსთან" ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი საკვალიფიკაციო მატჩი ჩაატარა. პავლიუჩენკოს არ უთამაშია. მიზეზი ისევ და ისევ "ტოტენჰემში" დაგეგმილი ტრანსფერი იყო.

26 წლის პავლიუჩენკო ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ აღმოჩენად იქცა. მან სამი გოლი გაიტანა და რუსეთის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი გახდა. რუსები ნახევარფინალში გავიდნენ. ეს მათი საუკეთესო შედეგი იყო ბოლო 20 წლის განმავლობაში.

"ტოტენჰემი" კიდევ ერთი რუსი ვარსკვლავის შეძენას ცდილობს. ლაპარაკია ზენიტელ **ანდრეი არშავინზე**. მაგრამ პეტერბურგულ კლუბთან შეთანხმება ვერ ხერხდება. "გარდიანის" ცნობით, "ზენიტი" ასტრონომიულ თანხას, 30 მილიონ გირვანქას ითხოვს - ზუსტად იმდენს, რამდენიც "მამლებს" **დიმიტარ ბერბატოვის** სანაცვლოდ სურთ. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეებია დარჩენილი. "ტოტენჰემმა" უნდა იჩქაროს - ერთი მხრივ, არშავინის შეძენა და მეორე მხრივ, ბერბატოვის "მანჩესტერ იუნაიტედში" გაყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას პრობლემები არ ასცდება. ბულგარელი ვარსკვლავი ფაქტობრივად აღარ ვარჯიშობს. **ხუანდე რამოსმა** ის "სანდერლენდთან" ბოლო ტურის მატჩში (1:2) არც კი ათამაშა. "მამლებმა" სეზონი უსახურად დაიწყეს და უკვე ორი წაგება აქვთ.



რომან პავლიუჩენკო ლონდონისათვის ემზადება

"ტოტენჰემთან" გამარჯვების შემდეგ, "სანდერლენდმა" **ანტონ ფერდინანდის** ტრანსფერი სრულყო. რიო ფერდინანდის უმცროსმა ძმამ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მის ყოფილ კლუბ "ვესტ ჰემს", კომპენსაციის სახით, 8 მილიონი გირვანქა ერგო. ანტონ ფერდინანდი 21 წლისაა. მას ახალი კლუბის შემადგენლობაში პირველი მატჩი გუშინ უნდა გაემართა. "სანდერლენდი" ლიგის თასზე "ნოტინგემ ფორესტს" შეხვდა. მაგრამ ანტონს მუხლი აწუხებს. მისი დებიუტი სანაკრებო პაუზის შემდეგ, 13 სექტემბერს, "ვიგანთან" მატჩში შედგება.

"სანდერლენდის" თავკაცმა **როი კინმა** შემადგენლობის გასაძლიერებლად უკვე 30 მილიონი გირვანქა დახარჯა. კვირის ბოლომდე ის კიდევ ერთი ფეხბურთელის დამატებას აპირებს. კინი მის ვინაობას არ ამხელს. არც ისაა ცნობილი, თუ რა პოზიციაზე ითამაშებს პოტენციური ახალწვეული.

და კიდევ, **რობი ფაულერი** "ბლექბერნს" ვერ ურიგდება. "ვარდებმა" ვეტერან თავდამსხმელს უჩვეულო, ერთკვირიანი (დიახ, ერთკვირიანი!) კონტრაქტი შესთავაზეს. ამას კონტრაქტი არც კი ჰქვია. "ბლექბერნი" უფლებას იტოვებს, ფეხბურთელი ნებისმიერ დროს დაითხოვოს და, ფაქტობრივად, თითო მატჩისათვის უხადოს ხელფასი. ფაულერი თავისუფალი აგენტია. გასულ სეზონში ის "კარდიფ სიტის" ღირსებას იცავდა, თუმცა ტრავმის გამო, სეზონის ნახევარზე მეტი გაუცდა. "ბლექბერნს" ფეხბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობა აღელვებს. ამიტომ თავს იზღვევს და მასთან ხანგრძლივი შეთანხმების გაფორმებას ერიდება. "ვარდების" მთავარი მწვრთნელი **პოლ ინსი** და ფაულერი "ლივერპულში" თანაგუნდელები იყვნენ.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ იურგენ კლინსმანთან

# სანერვიულო არაფერია, სექტემბერში ფორმის პიკს მივაღწევთ

## კლინსის ფიქრები: ჩემპიონთა ლიგა, რეალი და მანჩესტერი




როგორ ელოდებოდნენ "ბაიერნის" ფანები ახალი სეზონის დაწყებას. შეიძლება ითქვას, რომ მოლოდინი უფრო დიდი იყო, ვიდრე შარშან, როცა რეკორდმაისტერმა ტრანსფერებში 70 მილიონი ევრო დახარჯა. ამ ფაქტს ორი უმთავრესი მიზეზი აქვს: იურგენ კლინსმანი და ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნება. ჩემპიონთა ლიგა ჯერ არ დაწყებულა და რაც შეეხება პირველ მიზეზს – კლინსის ვერ გამოუვიდა ისეთი სტარტი, როგორსაც ქომაგები ელოდნენ. ორი თამაში, ორი ფრე, წარუმატებელი მატჩები მოსამზადებელ შეკრებაზე და იურგენიც წნეხის ქვეშაა მოქცეული. ბუნდესლიგაში ასეთი ცუდი სტარტი "ბაიერნს" ბოლო 9 წლის განმავლობაში არ აულია – ბავარიელები პირველი ორი მატჩიდან მინიმუმ ერთ-ერთის მოგებას ყოველთვის ახერხებდნენ, უმეტესად კი ორი ტურის შემდეგ აქტივში 6 ქულა ჰქონდათ ხოლმე. მიუხედავად ამისა, კლუბის შეფებმა კლინსმანს მხარდაჭერა და ნდობა გამოუცხადეს (გუშინდელ ნომერში ვწერდით). ახლა ვნახოთ, რას ფიქრობს თვითონ კლინსი. მას "შპორტ აინსის" კორესპონდენტი გაესაუბრა.

**- ჰერ კლინსმან, გერმანიის ჩემპიონატმა ორი ტური მოილია, თქვენ კი, "ბაიერნთან" ერთად ჯერ კიდევ ელით პირველ გამარჯვებას. როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას და რამდენად გრძნობთ წნეხს?**

- შექმნილ ვითარებას ნეგატიურად ნამდვილად არ ვაფასებ და ვინც ასე აფასებს, ძალიან ცდება. გუნდი ნელ-ნელა შედის ფორმაში და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დორტმუნდში მეორე ტაიმში კაცნაკლულები ვთამაშობდით. მიუხედავად ამისა, ანგარიშის გათანაბრება მაინც შევძელით. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ "ბორუსიასთან" მიღწეული ფრე კარგი შედეგია. ცხადია, მოგება ძალიან გვინდოდა, მაგრამ ყოველთვის ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. რა გაეწყობა, ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მომდევნო ტურში, ბერლინის "ჰერტასთან" პირველი სამი ქულა მოვიპოვოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ასეც მოხდება და "ბაიერნი" სექტემბერში საუკეთესო ფორმაში იქნება.

**- მიუხედავად თქვენი თავდაჯერებულობისა, უკვე ბევრი გაკრიტიკებთ. ექსპერტების დიდი ნაწილი ამბობს, რა ძალა ედგა, რატომ დათანხმდა "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობასო...**

- ასეთებისთვის კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ეს იყო შანსი, რომელიც, სავარაუდოდ, აღარასოდეს მომეცემოდა. ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი გადასაწყვეტი იყო. ძალიან კარგად ვიცი, რაც გავაკეთე. შესანიშნავად მესმის იმ პასუხისმგებლობის სიმძიმე, რაც საკუთარ თავზე ავიღე. რაც არ უნდა იყოს, "ბაიერნში" თვითონ ვთამაშობდი, აქაური წნეხის შესახებ ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად მომეხსენება და ფეხბურთელები და მწვრთნელები არც მაშინ იყვნენ თავისუფლები იმ წნეხისგან, რომლის შესახებაც ახლა ასეთი შეშფოთებული სახეებით საუბრობთ.

**- და მაინც: ფაქტია, რომ დღეს, მწვრთნელის რანგში გაცილებით მძიმე წნეხის ქვეშ ხართ მოქცეული, ვიდრე ფეხბურთელობის დროს. არ გეშინიათ, რომ ერთხელაც ეს ყველაფერი თქვენთვის ძალიან ბევრი აღმოჩნდება და წასვლა მოგინდებათ?**

- არავითარ შემთხვევაში! ვფიქრობ, გერმანიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე მუშაობისას მიღებული გამოცდილება ძალიან ბევრს ნიშნავს და ეს უდიდეს სამსახურს გამიწევს. ამიტომაც შევცვალე "ბაიერნის" სტრუქტურა და მაქსიმალურად ისეთი ვითარება შევქმენი, რომელშიც თავს კარგად ვიგრძნობ.

**- გერმანიის ნაკრებში თქვენ ორი წელი იმუშავეთ, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე გუნდი მესამე ადგილზე გაიყვანეთ, რაც დიდი წარმატება იყო. ამის შემდეგ ბუნდესგუნდში დარჩენას გეხვეწებოდნენ, მაგრამ განაცხადეთ, გადაღლილი ვარო და პოსტი დატოვეთ. კლუბის, მით უმეტეს "ბაიერნის" მწვრთნელი გაცილებით მეტად იღლება, ვიდრე ნაკრების. ამიტომაც დაგისვით წინა კითხვა...**

- მართალია, 2006 წლის ზაფხულში პაუზა აუცილებლად მჭირდებოდა. ის, რაც მუნდიალის დროს გერმანიაში ხდებოდა, ბევრმა ისე კარგად ვერ აღიქვა, როგორც მე და ჩემმა გუნდმა. და ამ ყველაფერმა უდიდესი ენერგია წამართვა. ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შემდეგ გერმანიის საფეხბურთო კავშირში თავიდან სრული ქაოსი იყო. გაიხსენეთ, ერთი პერიოდი საფეხბურთო კავშირს ორი პრეზიდენტიც კი ჰყავდა. ერთი ერთს ამბობდა, მეორე - მეორეს, და ყოველი პატარა საკითხი ბუნდესტაგის დონეზე განიხილებოდა. ისიც აღსანიშნავია, რომ იმ დროს, გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს გაცილებით მეტი მოეთხოვებოდა, ვიდრე ახლა.

**- რას გულისხმობთ?**

- ბუნდესგუნდში ახალგაზრდა ფეხბურთელების ინტეგრაციის პროცესი სწორედ ჩემს დროს დაიწყო. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ მე დავიწყე. გუნდი ავაწყვე, შევათამაშე და მუნდიალისთვის მოვამზადე. ცუდად არ გამიგოთ და, ვიცი, რომ არც იოახიმ ლიოვი გამიგებს ცუდად, მაგრამ დღეს ეს პროცესი ფაქტობრივად დასრულებულია. ყველაზე მტკივნეული დრო უკან მოვიტოვეთ. ლიოვის სამუშაო გაცილებით მარტივია.

**- "ბაიერნის" შეფებმა მხარდაჭერა გამოგიცხადეს. კარლ-ჰაინც რუმენიგემ ორიოდ დღის წინ თქვა, ჩვენთან ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ კლინსმანი "ბაიერნისთვის" ზედგამოჭრილი მწვრთნელიაო. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის მისი სიტყვები?**

- "ბაიერნს" გერმანიაში ყველაზე პროფესიონალური სტრუქტურა აქვს, ეს კი სწორედ ხელმძღვანელების დამსახურებაა, რომლებიც ძალიან ძლიერები არიან. ამ გუნდში ყველაფერი ლიად ხდება, ყველამ ყველაფერი იცის. ბოსები ჩემგან მუდმივად სიახლეებს ელიან.

**- და საითკენაა მიმართული თქვენი ორიენტაცია?**

- ჩემპიონთა ლიგისა და ისეთი კლუბებისკენ, როგორებიცაა მადრიდის "რეალი" და "მანჩესტერ იუნაიტედი". ჩემი მიზანია, რომ "ბაიერნი" ევროპულ გრანდებს გაუთანაბრდეს.

ბაიერნი

### შვაინის ხელფასი მოუმატეს

#### 360 000 ევროთი მეტი იმის გამო, რომ ევროპის ჩემპიონატზე კარგად ითამაშა

**ბასტიან შვაინშტაიგერი** ევროპის ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ კონტინენტის პირველობამ მას ფინანსური თვალსაზრისით სერიოზული წარმატება მოუტანა. იმის გამო, რომ ავსტრია/შვეიცარიაში გამართულ ტურნირზე "ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების 24 წლის ნახევარმცველმა საკმაოდ კარგად იასპარეზა, "ბაიერნი" ვალდებულია, მას ხელფასი მოუმატოს.

აგიხსნით: შვაინშტაიგერის კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუ ბასტი ევრო 2008-ზე მატჩების 50 პროცენტზე მეტში მიიღებდა მონაწილეობას, მისი ყოველთვიური ხელფასი 30 000 ევროთი გაიზრდებოდა. აქამდე შვაინშტაიგერის ჯამაგირი ყოველთვიურად 120 000 ევროს შეადგენდა, ახლა კი 150 000 ევრო იქნება (სხვადასხვა პრემიალურები ამ თანხაში გათვალისწინებული არ არის). ამ ინფორმაციას "შპორტ-ბილდი" ავრცელებს და აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ შვაინის კონტრაქტს ვადა 2009 წლის ივნისამდე აქვს. გამოდის, რომ წელიწადში მას 360 000 ევროთი მეტი ხელფასი ექნება. ეს სარფიანი ხელშეკრულება ბასტიანისთვის თავის დროზე, მისმა ყოფილმა მრჩეველმა, **როლანდ გრაჰამერმა** გაჩარხა.

ინტერვიუ დიეგოსთან

# მხოლოდ ჩემპიონობა, სხვა შედეგი მიუღებელია!

## პეკინიდან ბრინჯაოს მედლით დაბრუნებული ბრაზილიელი ბაიერნს ემუქრება

**ბრემენის** "ვერდერს" დიეგოს ოლიმპიადაზე გაშვება არაფრის დიდებით არ სურდა. მაგრამ ბრაზილიელმა პლეიმეიქერმა თქვა და აღარ გადათქვა – "სელესაოსთან" ერთად პეკინში გაემგზავრა და ჩინეთიდან გუშინწინ, ბრინჯაოს მედლით ხელდამშვენებული დაბრუნდა. ბრემენელი ქომაგები მას სიხარულით, მაგრამ აშკარად ნაწყენები დახვდნენ. ნაწყენი დახვდა გუნდიც, აღარაფერს ვამბობთ მწვრთნელსა და ხელმძღვანელებზე. ფაქტია, "მუსიკოსებს" ბუნდესლიგის პირველ ორ ტურში დიეგო რომ ჰყოლოდათ, ახლა მხოლოდ ორი ქულა არ ექნებოდათ. მაგრამ "ვერდერის" შეფი კლაუს ალოფსი პირდაპირ ამბობს, - არა უშავს, "ბაიერნსაც" ხომ ორი ქულა აქვს და ჩვენთვის უმჯობესია, ორი ტურის შემდეგ ცხრილს "ჰოფენჰაიმი" ლიდერობდეს, ვიდრე "ბაიერნი" ან "შალკეო". მოკლედ, "ვერდერს" ბრილიანტი დაუბრუნდა.

**- დიეგო, თქვენი გაიტანეთ და ოლიმპიადაზე ითამაშეთ. პეკინიდან ოქროს მედლით ვერა, მაგრამ ბრინჯაოთი ხელდამშვენებული კი დაბრუნდით. საერთო ჯამში, აზიაში ხუთი კვირა გაატარეთ. გიხარიათ ბრემენში დაბრუნება?**

- რა თქმა უნდა. ჩამოვედი თუ არა, მაშინვე ვიგრძენი ბრემენის ტრადიციული საფეხბურთო ატმოსფერო და ფანების მხარდაჭერა. "შალკესთან" და "არმინიასთან" მატჩებს ინტერნეტში ვუყურე. სამწუხაროდ, ბიჭებმა ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგეს.

**- თქვენს გამგზავრებას უდიდესი სკანდალი და მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ფაქტია, რომ უმძიმესი წნეხის ქვეშ ხართ მოქცეული და საინტერესოა, რამდენად გრძნობთ ზეწოლას?**

- არავითარი დაპირისპირება არ არსებობს, ყველაფერი შეთანხმებული იყო. სამწუხაროდ, ეს საკითხი პრესამ ძალიან გააბუქა. მზად ვარ, "ვერდერს" უდიდესი მადლობა გადავუხადო იმისათვის, რომ საბოლოო ჯამში პეკინში გამიშვეს, რადგან ოლიმპიადაზე თამაში ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო.

**- ოქროზე ოცნებობდით, მაგრამ ბრაზილიის ნაკრები მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა. იმედგაცრუებული ხართ?**

- მართალია, ოქრო ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ ჩემი დასკვნა მაინც პოზიტიურია. ერთადერთი, რამაც გული ძალიან მატკინა, ნახევარფინალში არგენტინასთან წაგება იყო. ჩვენი პროგრამა მინიმუმი სწორედ ბრინჯაოს მედლის მოპოვება გახლდათ და ვამაყობ, რომ ამ მიზანს მივაღწიეთ. ოლიმპიური სულისკვეთება 100 პროცენტით შევიგრძენი და ძალიან პოზიტიურად ვარ დამუხტული. ეს კი "ვერდერისთვისაც" უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

**- რამდენად კარგ ფორმაში ხართ და რამდენად ხართ მზად ბუნდესლიგისთვის?**

- ფიზიკურად ძალიან კარგ ფორმაში ვარ და ეს მალევე გამოჩნდება. 26 დღის განმავლობაში 8 მატჩში მივიღე მონაწილეობა და შესაძლოა, ბევრ ფეხბურთელზე უკეთესი "მოსამზადებელი შეკრებაც" კი გამომივიდა. ბრემენში პირველსავე ღამეს ძალიან კარგად მეძინა, გუშინ იდეალურად ვივარჯიშე. მოკლედ, მზად ვარ.

**- ორი წელია, "ვერდერში" თამაშობთ. ერთხელ მესამე ადგილი დაიკავეთ, ერთხელაც მეორე. ახლა რა იქნება?**

- ჩემი მიზანი გერმანიის ჩემპიონობაა და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ. სხვა შედეგი მიუღებელი იქნება. შარშან ძალიან არ გაგვიმართლა – მთელი სეზონის განმავლობაში წამყვანი ფეხბურთელები გვაკლდნენ. იმედი მაქვს, ასეთი რამ აღარ განმეორდება და ჩვენი ბიჭები ჯანმრთელად იქნებიან. თუ ასე მოხდა, მაშინ რეალური შანსი გვაქვს, რომ "ბაიერნი" ტახტიდან ჩამოვაგდოთ.

**- კლაუდიო პისაროს ტრანსფერის შესახებ რა აზრის ხართ, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება მისი როლი "ვერდერისთვის"?**

- ნებისმიერი კარგი ფეხბურთელი მხოლოდ გაგვაძლიერებს. პისარო შესანიშნავი თავდამსხმელია, რაც მას ადრეც არაერთხელ დაუმტკიცებია. ბუნდესლიგაში ის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორი იქნება, ამაში 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ. ვპირდები, რომ იდეალური პასებით მოვამარაგებ. ერთი სიტყვით, პისარო ის კაცია, რომელიც "ვერდერს" ჰაერივით სჭირდებოდა.



**- მომდევნო ტურში მიონხენგლადბახის "ბორუსიასთან" ითამაშებთ. მერე კი ისევ ბრაზილიის ნაკრებს უნდა დაეხმაროთ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. გულახდილად გვითხარით, არ გირჩევნიათ, რომ ბრემენში დარჩეთ და ცოტა დაისვენოთ?**

- არა, ბრაზილიის ნაკრებში თამაში ნებისმიერი ბრაზილიელისთვის უდიდესი პატივია. ამაზე უარს როგორ ვიტყვი?! ცხადია, ბევრი მგზავრობა ძალიან დამღლელია, მაგრამ სხვა რა გზაა - ბრაზილია ხომ გერმანიასთან ახლოს არ არის.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცია

მილანი

# პალოსკი წავიდა, ოდო მიდის

## გალიანიმ ანჩელოტის სკუდეტო შეუკვეთა


ალბერტო პალოსკი

როგორც ვიწინასწარმეტყველეთ, "მილანი" ფორვარდს შეელია. მას შემდეგ, რაც "როსონერიმ" **ანდრეი შევჩენკო** დაიბრუნა, ხოლო მანამდე **რონალდინიო** იყიდა, ნათელი გახდა, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი ზედმეტი იქნებოდა. კლუბმა პრაგმატული გადაწყვეტილება მიიღო და **ალბერტო პალოსკი** გაუშვა. 19 წლის ფორვარდი მომავალ სეზონს არენდით "პარმაში" გაატარებს. პრაგმატულიო, ვთქვით და, საქმე ისაა, რომ პერსპექტიულ თავდამსხმელს სერია B-ს კლუბში სერიოზული პრაქტიკა ექნება, რასაც "მილანში" ნამდვილად მოკლებული იქნებოდა. ამით, "როსონერი" ფეხბურთელის ზრდას უწყობს ხელს. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს დაბალ დივიზიონშიცაა შესაძლებელი. ესეც არ იყოს, მოსამზადებელმა პერიოდმა აჩვენა, რომ ჯეელი თავდამსხმელი უმაღლეს დონეზე სათამაშოდ ჯერ მზად არაა.

კლუბებმა თანამფლობელობის კონტრაქტი გააფორმეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ მომენტში "პარმას" ფეხბურთელის სრულად გამოსყიდვა შეუძლია. თავის მხრივ, "მილანს" უფლება აქვს, ან დათანხმდეს გარიგების ამ ფორმას, ან არა. შესაბამისად, მას პალოსკიზე ხელი ნამდვილად არ აუღია. შეგახსენებთ, რომ "როსონერი" ფეხბურთელს "ტორინოში" უშვებდა და შეთანხმებაც მიღწეული იყო, მაგრამ მას მერე, რაც **კარლო ანჩელოტის** წინა ხაზზე პრობლემები შეექმნა (მწვრთნელი თავდასხმაში **მასიმო ამბროზინის** აყენებდა), გარიგება ჩაიშალა. საბოლოოდ, პალოსკი აღარც "მილანშია" და აღარც "ტორინოში". ახლა მისი მიზანია, "პარმას" სერია A-ში დაბრუნებაში დაეხმაროს.

შესაძლოა, "მილანი" დატოვოს **მასიმო ოდომაც**. მარჯვენა მცველს "ლიონი" ეპატიჟება. თუ გარიგება შედგა, ფრანგულ გრანდს დაცვის ფლანგები მთლიანად "სკუადრა აძურას" ფეხბურთელებით ეყოლება დაკომპლექტებული. შეგახსენებთ, რომ "ლიონში" მარცხენა მცველი **ფაბიო გროსოც** თამაშოს.

ოდოს სავარაუდო წასვლა, ეტყობა, **ჯანლუკა ძამბროტას** ტრანსფერის შემდეგ დადგა დღის წესრიგში. როგორც იცით, ორიოდ დღის წინ "მილანმა" შვეიცარიელი მცველი **ფილიპ სენდეროსიც** გადაიბირა. თავის მხრივ, "ლიონს" ოდო ტრავმირებული **ფრანსუა კლერის** შემცვლელად სჭირდება. ისიც უნდა ითქვას, რომ 31 წლის მარჯვენა მცველს ანჩელოტი სულ უფრო ნაკლებად ენდობა. ასე იყო გასულ სეზონში და ეს მიმდინარე მოსამზადებელ პერიოდშიც გრძელდება. ოდოს გაყიდვა, შესაძლოა, იმით იყოს გამოწვეული, რომ "მილანმა" სატრანსფერო დანახარჯები ნაწილობრივ მაინც აანაზღაუროს. კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელმაც სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე შეიძლება "როსონერი" დატოვოს, **კრისტიან ბროკია**. ნახევარმცველს თურმე "ლაციო" ეპატიჟება.

ამასობაში, **ადრიანო გალიანი** ხელებს იფშვნეტს და მოახლოებულ სეზონს დიდი იმედით ელის. ის მიიჩნევს, რომ "მილანის" შთამბეჭდავი სატრანსფერო კამპანია, რომელიც უკვე დასრულებულია, არის იმის საფუძველი, რომ გუნდმა სკუდეტოსთვის იბრძოლოს.

*"ვფიქრობ, ანჩელოტი ბედნიერი უნდა იყოს იმით, რაც ამ ზაფხულს სატრანსფერო ბაზარზე გავაკეთეთ. ბოლო წლების საზომით ეს ყველაზე ეფექტური კამპანია იყო. სილვიო ბერლუსკონის ძალისხმევით, კლუბმა ყველაფერი გააკეთა გუნდის გასაძლიერებლად. ასე რომ, ახლა სიტყვა ანჩელოტიზეა. მას ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ სკუდეტო მოიგოს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ კარლოს სხვა ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ ფაქტია, ამ გუნდს შეუძლია, მიზნისთვის ბოლომდე იბრძოლოს და ფინიშზე პირველი მივიდეს".*

ფაქტობრივად, კარლეტო კედელთან მიაყენეს. მას სხვა გამოსავალი არ აქვს - ან სკუდეტო, ან პოსტის დატოვება. ამდენად, შესაძლოა, ეს ანჩელოტის ბოლო მილანური სეზონიც იყოს...


მასიმო მოდო

პალერმო

# ამბიციური ძამპარინი სუასოს უმიზნებს

"პალერმოს" პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** ახალი ამბიციები მოეძალა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდიდან ყოველწლიურად მიდიან წამყვანი მოთამაშეები, ოდიოზური ბოსი მაღალ მიზნებზე ოცნებას არ ეშვება. თურმე ნუ იტყვით და, ამ სეზონში სიცილიური კლუბი ჩემპიონთა ლიგის ზონაში უნდა მოხვდეს. სასაცილოა ხომ? რა თქმა უნდა, მიზანი არარეალურია. ახლა "მილანს", "ინტერს", "რომასა" და "იუვენტუსს" ვკითხოთ, რას აპირებენ, ან - "ფიორენტინას", რომელსაც ექსპერტები სკუდეტოს ერთ-ერთ პრეტენდენტად მიიჩნევენ.

ვფიქრობთ, ამბიციური მიზნების დასახვა ძამპარინის იმისთვის სჭირდება, რომ შუა სეზონში თავის ჰობის დაუბრუნდეს და მწვრთნელი შეცვალოს. ეს არა მარტო ჰობი, არამედ მისი სტიქიაა. გუნდის დღევანდელი თავკაცი **სტეფანო კოლანტუონო** ხომ ერთხელ უკვე გაგდებული ჰყავს, ახლა მას კიდევ ერთ ხაფანგს უგებს.

მოკლედ, ძამპარინის მიაჩნია, რომ "დიდი გეგმის" განხორციელება კარგი ფორვარდის გარეშე შეუძლებელია. **კარვალიო ამაურის** "იუვენტუსში" გაშვებით "პალერმო" სწორედ რომ "ამ კარგი" თავდამსხმელის გარეშე დარჩა. ძამპარინის სამიზნედ **დავიდ სუასოა** ქცეული. "ინტერის" ჰონდურასელი ფორვარდი, შეიძლება, წმენდაში მოყვეს. **ჟოზე მოურინიოს** წინა ხაზზე 6 მოთამაშე არ სჭირდება. მარტო ესეც არ არის საქმე. 2005/06 წლების სეზონში სუასომ "კალიარის" სახელით 22 გოლი გაიტანა, "ინტერში" გადასვლა კი მისთვის სავალალო ნაბიჯი აღმოჩნდა.

"პალერმოს" ახალი სპორტული დირექტორი **ვალტერ საბატინი** დღეს ინტერელ კოლეგა **მარკო ბრანკას** შეხვდება და ტრანსფერს ნიადაგს მოუსინჯავს. სავარაუდოდ, საუბარი შეეხება ერთწლიან არენდას. წინასწარი ინფორმაციით, "ინტერი" თანახმაა, ფეხბურთელის ხელფასის რაღაც ნაწილი გადაიხადოს. მოლაპარაკების მთავარი საგანიც სწორედ ფინანსური დეტალები იქნება.


დავიდ სუასო

ვილიარეალი

# რეალმა კასორლაზე ხელი აიღო

**სანტი კასორლა** "ვილიარეალში" რჩება. ბოლო პერიოდში ნახევარმცველი "რეალის" სამიზნეს წარმოადგენდა. მაგრამ "ყვითელ სუბმარინებს" ის ძვირად უღირთ. კლუბის პრეზიდენტმა **ფერნანდო როიგმა** გადაწყვიტა, რომ კასორლა არაფრის დიდებით არ გაუშვას. ფეხბურთელის აგენტი **ხულიო ლორენტე** გუშინ, გვიან ღამემდე აწარმოებდა მოლაპარაკებას "ვილიარეალის" უფროსებთან, მაგრამ ვერაფერს გახდა. შემდეგ ის დაუკავშირდა სამეფო კლუბის სპორტულ დირექტორ **პრედრაგ მიატოვიჩს** და აცნობა, რომ კასორლა "ელ მადრიგალზე" რჩება და თანაც, დიდი ხნით...

დიახ, როიგმა ნახევარმცველს 6-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა, რაც ბოლო პერიოდში ერთობ იშვიათი მოვლენაა. პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ფეხბურთელი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზეც ითამაშა, "ვილიარეალისთვის" უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. იქვე, როიგმა დასძინა, რომ ახალი სეზონისთვის გუნდი უკვე დაკომპლექტებულია და გაძლიერებას აღარ საჭიროებს.

მაგრამ as-ის ცნობით, ტრანსფერის ჩაშლის მიზეზი მთლად ფეხბურთელის საჭიროებაც არ ყოფილა. საქმე ისაა, რომ კასორლას გამოსასყიდი თანხა, როგორც ეს მის ძველ კონტრაქტშია დაფიქსირებული, 16 მილიონი ევროა. მიატოვიჩსა და მის კოლეგებს შორის მოლაპარაკება სწორედ ამ თანხის გარშემო მიმდინარეობდა. "რეალმა" არ ისურვა ამ 16 მილიონის გადახდა, "ვილიარეალმა" კი - კასორლას 12 მილიონ ევროდ (რამდენიც სამეფო კლუბმა შესთავაზა) გაშვება. შესაბამისად, მოლაპარაკებაც ჩაიშალა. ახლა მადრიდელები სხვა ვარიანტს მოსინჯავენ.


სანტი კასორლა

რომა

# მონაკოდან კანიბალი მოდის...

## ჯალოროსი მენეზიზე შეჩერდა. სისინიო სპალეტის ბოდიშს უხდის

"ფრანსფუტბოლის" ინფორმაციით, "რომამ" "მონაკოდან" **ჟერემი მენეზი** გადაიბირა. ადრეც გაცნობეთ, რომ "ჯალოროსი" სერიოზულად იყო დაინტერესებული ამ ფეხბურთელით, მაგრამ რიგი მიზეზების გამო, ტრანსფერი უსაშველოდ გაიწელა. თუმცა მოლაპარაკებები უკვე წარსულია. დღეს მენეზი "ტრიგორიაში" უნდა გამოცხადდეს. "ფრანს ფუტბოლის" ცნობა გუშინ "მონაკოს" ოფიციოზმაც დაადასტურა. პრეზიდენტ **ჟან-პიერ ბერნეს** თქმით, რომაელებს "კანიბალად" წოდებული შემტევი ნახევარმცველი 10 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. იქვე, ბერნე დასძენს:


ჟერემი მენეზი

*"ყველაფერი მოგვარებულია. მენეზი ძალზე ბედნიერია. 21 წლის ფეხბურთელს ზრდის პერსპექტივა გაუჩნდა და ამაში ხელს ნამდვილად ვერ შევუშლიდით. ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ უნდა გითხრათ, "რომამ" მენეზისთვის ბრძოლაში ევროპის დიდი კლუბები დაამარცხა".*

ცნობისთვის, მენეზის **ზინედინ ზიდანს** ადარებენ. ის საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა, თუმცა **რაიმონ დომენეკს** მისთვის ყურადღება ჯერ არ მიუქცევია. მოკლედ, სატრანსფერო პერიოდის მიწურულს "რომას" უფროსობა ნაყოფიერად ამუშავდა. ამ ზაფხულის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა **ჟულიო ბაპტიშტას** გადაბირება იყო. მანამდე, "რომამ" გამოცდილი ნორვეგიელი მარცხენა მცველი **იონ არნე რიისე** შეიძინა.

გავაგრძელოთ რომაული ამბები. ვიდრე მენეზი მოვიდოდა, **ლუჩანო სპალეტიმ** და **სისინიომ** წაჩხუბება მოასწრეს. ინციდენტი ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მოხდა. ფეხბურთელი ძლიერ გაცხარდა, როცა მწვრთნელისგან შეიტყო, რომ "ინტერთან" მატჩში სათადარიგო იქნებოდა. კლუბმა სისინიოს დისციპლინარული სანქცია გამოუწერა. ამიტომ, სპალეტიმ ბრაზილიელი სასუპერთასო განაცხადში ვერ შეიყვანა.

სისინიოს საქციელით მისი თანაგუნდელებიც აღშფოთებულნი არიან. გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს ბრაზილიელს კონტრაქტის გაწყვეტით დაემუქრნენ, მაგრამ ამასობაში ფეხბურთელმა ბოდიში მოიხადა. ოფიციალურად დადასტურდა, რომ ის და სპალეტი უკვე შერიგდნენ. მეტიც, კვირას, "ნაპოლისთან" ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩში სისინიო, თურმე, სასტარტოშიც კი მოიაზრება.

გვერდი მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**

Beijing 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიური ამბორი















ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტის აზრით...

# საკი: სკუდეტო? ფიორენტინაც არ დაგავიწყდეთ



**არიგო საკი** ექსპერტობით ირთობს თავს. "მილანის" ყოფილი მწვრთნელი არც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას უყურადღებოდ არ ტოვებს. ცოტა ხნის წინ მან აზრი გამოთქვა **ანდრეი შევჩენკოს** "მილანში" დაბრუნებაზე და "როსონერის" მესვეურთა პოლიტიკას სიგიჟე უწოდა. სერია A-ს დაწყებამდე ორი დღე რჩება და პროგნოზების დროც მოვიდა. შეიძლება, ბევრს უაზრობად ეჩვენებოდეს ამხელა მარათონის პროგნოზირება, მაგრამ როცა საქმე საკისეულ შეფასებებს ეხება, ბუნებრივია, ინტერესი დიდია.

სერია A-ს სტარტის წინ ვარაუდები ჩვეულებრივი ამბავია. ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველა გეტყვით, რომ სკუდეტოს უმთავრესი ფავორიტები "მილანი", "ინტერი", "რომა" და "იუვენტუსი" არიან. ეს ხომ ბავშვმაც იცის, მაგრამ რაც საკიმ თქვა, ბავშვი კი არა ბევრი გამოცდილი ექსპერტიც ვერ გაბედავდა. მოკლედ, სინიორ არიგოს ვარაუდით, "ფიორენტინა" ჩემპიონობის სერიოზული კანდიდატია. საკი მიიჩნევს, რომ **ჩეზარე პრანდელის** გუნდს აქვს ყველაფერი, რაც სკუდეტოს მოსაპოვებლადაა საჭირო (ნეტავ, "ინტერსა" და "მილანზე" რაღას იტყოდა?). დიდი "მილანის" ყოფილ შემოქმედს ძალიან მოსწონს ის პროექტი, რასაც ფლორენციაში ორი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. მიმდინარე კამპანიაში კი კლუბმა ტრანსფერებში დაახლოებით 40 მილიონი ევრო დახარჯა. საკი პირდაპირ აღფრთოვანებულია "ვიოლას" სპორტული დირექტორის **პანტალეო კორვინოსა** და მწვრთნელ პრანდელის შეხმატკბილებული და ნაყოფიერი მუშაობით:

*"ის, რაც ამ გუნდში ხდება, რასაც კორვინო და პრანდელი აკეთებენ, მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ "ფიორენტინა" ჩემპიონობის ერთ-ერთი სერიოზული კანდიდატია. მჯერა, რომ სეზონის ბოლოს ისინი შეიძლება კვარცხლბეკზე ვიხილოთ. ბოლო წლებში გუნდმა დიდ პროგრესს მიაღწია, დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის საგზური და ვფიქრობ, მათი ამბიციები სრულიად საფუძვლიანია"*, - აცხადებს არიგო "გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს "ფიორენტინა" **ალბერტო ჯილარდინოთი, ხუან მანუელ ვარგასით, ფელიპე მელოთი, სტევან იოვეტიჩითა და მარკო სტორარით** გაძლიერდა.

**გიორგი გელაშვილი**

წარსულზე...

# მოურინიო: შევჩენკო არასოდეს მომითხოვია

**ჟოზე მოურინიო** ისევ წარსულში იქექება, თითქოს დღეს ნაკლები პრობლემა ჰქონდეს. როგორ იქნებოდა, "განსაკუთრებულ კაცს" არაფერი ეთქვა **ანდრეი შევჩენკოს** მილანურ ტრანსფერზე. შევა ხომ მისი ყოფილი შეგირდია. უკრაინელი ფორვარდი "ჩელსიში" 2006 წელს მივიდა. "არისტოკრატებმა" მასში 45 მილიონი ევრო გადაიხადეს, რაც წყალში გადაყრილი აღმოჩნდა. ორი წლის განმავლობაში შევჩენკოს "ჩელსისთვის" ფასეული არაფერი გაუკეთებია. პრემიერლიგაში გადასვლამ მისი კარიერა სერიოზულად შეაფერხა. შესაძლოა, ანდრეი თავის პრობლემებში მოურინიოსა და **ავრამ გრანტს** ადანაშაულებდეს, მაგრამ ქვემოთ მიხვდებით, რომ პორტუგალიელს ამაში ნაკლებად მიუძღვის ბრალი:

*"თავის დროზე, შევჩენკო მილანში პრინცივით იყო, "ჩელსიში" კი ჩვენ სრულიად განსხვავებული ფილოსოფია გვქონდა. ჩვენთან პრინცები არ იყვნენ. ყველა ერთნაირი დატვირთვითა და მონდომებით ვარჯიშობდა და ყველას, დიახ, აბსოლუტურად ყველას, სჭირდებოდა იმის დამტკიცება, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსი იყო. მე ვფიქრობ, ლონდონში მან საკუთარი ძალების რწმენა დაკარგა. ის ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა რეგრესისკენ"*.

შემდეგ, მოურინიო აღიარებს, რომ **რომან აბრამოვიჩისთვის** შევჩენკოს ყიდვა არასოდეს უთხოვია. სხვათა შორის, ეს ეჭვი მაშინვე გაჩნდა და აი, დადასტურდა კიდეც. როგორც ირკვევა, უკრაინელის ტრანსფერი ოლიგარქის თვითშემოქმედების ნაყოფი იყო. ამდენად, მოურინიო პასუხისმგებლობას იხსნის:

*"შევჩენკო არ ყოფილა ჩემი პირველი არჩევანი. ასე რომ, მე შემეძლო, ძირითადში დამეყენებინა ის ფეხბურთელები, ვინც ჩემს ხედვას აკმაყოფილებდნენ. აბრამოვიჩისთვის მისი შეძენა არასოდეს მითხოვია. ვფიქრობ, შევჩენკომ რთული პერიოდი წარსულს ჩააბარა. მჯერა, ის კვლავ შეძლებს მაღალ დონეზე თამაშს. სიმართლე ისაა, რომ მასთან პერსონალური პრობლემები არ მქონია. მომავალში მას წარმატებებს ვუსურვებ"*.

**გიორგი გელაშვილი**



პრეზიდენტი

# ფრანკო სენსის მეოთხე გოგონა

## როზელა სენსი თავისი დაიკოს გაყიდვას ჯერ არ აპირებს

**ფრანკო სენსის 15-წლიანი მმართველობა რომაელთა ისტორიის ყველაზე წარმატებულ პერიოდად მიიჩნევა. "ჯალოროსის" პრეზიდენტი გასულ კვირას, 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას ათასობით რომაელმა გულშემატკივარმა მიაგო პატივი. სენსის დაკრძალვას იტალიის მთელი საფეხბურთო საზოგადოება დაესწრო. "გაძეტა დელო სპორტმა" სინიორ ფრანკოს მოღვაწეობას გადაავლო თვალი. ვფიქრობთ, მკითხველისათვის ამ სტატიის გაცნობა ინტერესმოკლებული არ იქნება.**



ფრანკო სენსი და ფრანჩესკო ტოტი

*"ყველას ჰგონია, რომ მე სამი გოგონა მყავს - როზელა, სილვია და მარია კრისტინა. სინამდვილეში, ოთხი გოგოს მამა ვარ. ჩემი მეოთხე გოგონაა "რომა"*, - ეს სიტყვები **ფრანკო სენსის** ეკუთვნის. მას დედაქალაქური კლუბის წინაშე დიდი დამსახურება აქვს. სინიორ სენსიმ საფეხბურთო კლუბს დიდებული მამობა გაუწია. მას ეს თვისება მშობლისაგან გადაეცა. ფრანკო სენსის მამა, **სილვიო**, კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი გახლდათ.

"რომა" 1927 წელს შეიქმნა. "ჯალოროსი" სამი კლუბის - "ალბა აუდაჩეს", "რომანისა" და "ფორტიტუდოს" გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა. სილვიო სენსი გაერთიანებული კლუბის კაპიტნად დაინიშნა. ფეხბურთისაგან თავისუფალ დროს ის სამშენებლო ბიზნესით იყო დაკავებული. სილვიომ ძლიერი კლუბის შექმნა გადაწყვიტა. მას ეკუთვნის რომაელთა პირველი სტადიონის, "ტესტაჩოს" აშენების იდეა. სენსი-უფროსმა ამ იდეის განსახორციელებლად საკუთარი სახსრებიც არ დაიშურა. სანაცვლოდ კი კლუბის ხელმძღვანელობისაგან მხოლოდ სამი ბილეთი მოითხოვა - თავისთვის, მეუღლე როზისა და ვაჟიშვილ ფრანკოსთვის, რომელიც "ჯალოროსიზე" სულ რაღაც ათი თვით უფროსი იყო.

პატარა ფრანკოს ფეხბურთის თამაში ძალიან უყვარდა, მაგრამ უფრო მეტად მათემატიკით იყო გატაცებული. მან მესინის უნივერსიტეტში ჩააბარა და შესაბამისი დიპლომიც მიიღო. 28 წლის ფრანკო სენსის "რომაში" უხმეს. ის პრეზიდენტის მრჩევლად დანიშნეს. სენიორ ფრანკომ ამ თანამდებობაზე შვიდი წელი გაატარა. მეშვიდე წელს, 1961-ში, რომაელებმა პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ევროპული ჯილდო, ბაზრობათა თასი მოიპოვეს. სენსიმ კლუბიდან წასვლა გადაწყვიტა. მიზეზი პრეზიდენტ **ფრანკო ევანჯელისტასთან** უთანხმოება იყო. ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. ამიტომ პრეზიდენტის მრჩეველმა გაცლა ამჯობინა. მან კერძო ბიზნესს მოჰკიდა ხელი.

სენსიმ კომპანია "იტალპეტროლი" დააარსა. ის იტალიის ერთ-ერთი უმსხვილესი სანავთობო კომპანია გახდა. სენიორ ფრანკომ სოლიდური ქონება დააგროვა და ბიზნესის გაფართოებას მიჰყო ხელი. ის უძრავი ქონებით, საგამომცემლო საქმიანობითა და ტურისტული ბიზნესით დაინტერესდა. ამას გარდა, ხმაურიანი რომიდან მაჩერატის პროვინციის პატარა ქალაქ ვისოში გადასახლდა. ეს მისი წინაპრების მშობლიური ქალაქი იყო. ფრანკო სენსი ვისოს მერად აირჩიეს. ის პოლიტიკაში ჩაერთო და იტალიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა. 1997 წლის მიწისძვრამ სენსის მშობლიური ქალაქი ძლიერ დააზიანა. სენიორ ფრანკომ მის აღსადგენად სოლიდური თანხა გაიღო.

ოთხი წლით ადრე ფრანკო სენსი ფეხბურთში დაბრუნდა. 1993 წელს მან რომაელთა დაფინანსება ითავა. მისი მისვლისას, კლუბი სავალალო მდგომარეობაში იყო. ეს ყოფილი პრეზიდენტის, **ჯუზეპე კიარაპიკოს** უთავბოლო მმართველობის შედეგი გახლდათ. კიარაპიკოს პრობლემები ჰქონდა კანონთან. საქმე იქამდე მივიდა, რომ ის დააპატიმრეს. "რომა" უპატრონოდ დარჩა. "ჯალოროსის" მფარველობა "ფოჯის" ყოფილმა ბოსმა პასკუალე კაზილომ მოისურვა. "რომაში" ფულის დაბანდებით მარსელის "ოლიმპიკის" იმჟამინდელი პრეზიდენტი **ბერნარ ტაპიც** დაინტერესდა, მაგრამ რომის მაშინდელმა მერმა **ფრანკო კარარომ** მათ გეგმებს ვეტო დაადო. კარარომ განაცხადა, რომ "ჯალოროსის" ახალი მფლობელი აუცილებლად რომაელი უნდა ყოფილიყო. 1993 წლის 21 მაისს რომაელთა აქციების საკონტროლო პაკეტი ფრანკო სენსიმ შეიძინა. მისი კომპანიონი გახდა კიდევ ერთი ცნობილი რომაელი ბიზნესმენი **პიეტრო მაცარომა**.

გუნდში ახალი ეპოქა დაიწყო, თუმცა სენსისა და მაცარომას ურთიერთობა არ აეწყოთ. "რომაში" დაახლოებით ისეთი ვითარება შეიქმნა, როგორიც დღევანდელ "ლივერპულშია". "ლივერპულსაც" ორი ბოსი ჰყავს (**ჯორჯ ჯილეტი და ტომ ჰიკსი**). ამ ადამიანებს კლუბის მომავალი განსხვავებულად ესახებათ. "ჯალოროსიში" დაპირისპირებამ გაცილებით უფრო მწვავე ფორმები მიიღო. მაგალითად, რომაელთა გენერალურმა მენეჯერმა **მარკო მაცარომამ**, რომელიც პიეტრო მაცარომას ძმისშვილი გახლდათ, სენსისთან შეუთანხმებლად გუნდში მიიწვია **ლუჩანო მოჯი** (დიახ, ის ცნობილი ლუჩანო მოჯი, რომელიც ერთი წლის შემდეგ, 1994 წელს, "იუვენტუსის" გენერალურ მენეჯერად დაინიშნა და საბოლოოდ, კარიერა სკანდალურად დაასრულა). სენსის, გაგებული ჰქონდა ამ ჯენტლმენის შავი საქმეების შესახებ და მოჯის დანიშვნას წინ აღუდგა. ფრანკო სენსიმ ყველას გასაგონად განაცხადა, რომ მისი ხელმძღვანელობისას, "ჯალოროსის" ინტრიგებსა და გარიგებებში არ ჩაერთვებოდა.

უთანხმოებამ წელიწად-ნახევარს გასტანა. ბოლოს სენსიმ მაცარომას აქციები გამოისყიდა და კლუბის ერთპიროვნული მმართველი გახდა. ისინი მეგობრებად დარჩნენ. ფრანკო სენსიმ ხელები დაიკაპიწა და მუშაობას შეუდგა. დასაწყისისათვის, მან ტრიგორიის საწვრთნელი ბაზის რეკონსტრუქცია ჩაატარა, მთავარ მწვრთნელად კი რომაელი სპეციალისტი **კარლო მაცონე** დანიშნა. პრეზიდენტმა ურუგვაელი თავდამსხმელი **დანიელ ფონსეკა** და არგენტინელი მცველი **აბელ ბალბო** შეიძინა. "რომამ" სეზონი მეხუთე ადგილზე დაასრულა. 1996-97 წლების სეზონი კიდევ უფრო წარუმატებელი აღმოჩნდა. **კარლოს ბიანკისა** და **ნილს ლიდჰოლმის** ხელმძღვანელობით გუნდი მხოლოდ მე-12 ადგილს დასჯერდა. სენსიმ "ლაციოს" ქარიზმატული მწვრთნელი, **ზდენეკ ზემანი** გადაიბირა. "რომა" უკეთ ათამაშდა და 1997-98 წლების სეზონი მეოთხე ადგილზე დაასრულა. ზემანმა იტალიაში დოპინგთან დაკავშირებული ხმაურიანი სკანდალი წამოიწყო. ამას გარდა, სწორედ მან უბოძა კაპიტნის სამკლავური **ფრანჩესკო ტოტის**.

"რომა" სკუდეტოს 2001 წელს დაეუფლა. მისი დამრიგებელი ფაბიო კაპელო იყო. კაპელომ გუნდი 1999 წელს ჩაიბარა. მან ნაყოფიერი სატრანსფერო კამპანია ჩაატარა. "ჯალოროსიში" ჩაირიცხნენ **ვინჩენცო მონტელა** და **გაბრიელ ბატისტუტა**. სენსის მხოლოდ ამ უკანასკნელის ტრანსფერი 35 მილიონი დოლარი დაუჯდა. "რომა" იტალიის ჩემპიონი გახდა, თუმცა უხვად დახარჯულ თანხას უკვალოდ არ ჩაუვლია. კლუბს ფინანსური პრობლემები შეექმნა. სენსიმ მდგომარეობა გამოასწორა. ამავე პერიოდს დაემთხვა მისი ჯანმრთელობის გაუარესება. ის "ჯალოროსის" დირექტორატიდან წავიდა და მართვის სადავეები თავის შვილს, **როზელა სენსის** გადააბარა. როზელა იტალიური ფეხბურთის ისტორიაში პირველი ქალია, რომელსაც სერია A-ს კლუბის მართვა დაეკისრა.

ბოლო წლებში, ფრანკო სენსი საზოგადოებაში იშვიათად ჩნდებოდა. მას დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო. 2008 წლის მაისში, სინიორ სენსი იტალიის ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოეს. რომაელი პრეზიდენტი იმდენად ავად იყო, რომ ჯილდო მისმა მეუღლემ **მარია ნანიმ** ჩაიბარა. *"ჩემს ფრანკოს არასოდეს უყვარდა ხმაურიანი წვეულებები და ცერემონიები. მისთვის პირველ ადგილზე ყოველთვის ოჯახი იდგა. და რაღა თქმა უნდა, "რომა"*, - თქვა სენიორა ნანიმ.

რომაელ გულშემატკივარს იმედი აქვს, რომ ფრანკო სენსის გარდაცვალება მათი კლუბის კეთილდღეობაზე არ იმოქმედებს, სენსის ოჯახი "ჯალოროსის" არ შეელევა და უცხო პირებს არ ჩაუგდებს ხელში. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ევროპული სააგენტოები იუწყებოდნენ, რომ რომაელთა აქციების შეძენა ამერიკულ მილიარდერ **ჯორჯ სოროსს** სურდა. გარიგება არ შედგა. მოგვიანებით, იტალიურ გაზეთებში გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ "რომას" აქციების 49 პროცენტი საინვესტიციო ბანკმა "უნიკრედიტმა" შეიძინა და მანვე გამოუყო კლუბს კრედიტი 340 მილიონი დოლარის ოდენობით. იტალიური ჟურნალისტების მტკიცებით, თავის დროზე სენსიმ სწორედ ამ ბანკის დახმარებით მოახერხა ფინანსური პრობლემების მოგვარება. "უნიკრედიტი" კომერციული ორგანიზაციაა. ის "ჯალოროსის" მარტო ენთუზიაზმის ხარჯზე არ შეინახავს. როზელა სენსის მოუწევს არჩევანის გაკეთება: ან დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა, ანდა "რომას" გასხვისება. პრობლემის გადაჭრის უმარტივესი გზა კლუბის გაყიდვა იქნებოდა, თუმცა სენიორა სენსი თავისი "დაიკოს" გაყიდვას ჯერ არ აპირებს.

**შალვა ბიბილაშვილი**

ოლიმპიადის ექო

# ბიჭები მწყობრში რჩებიან

## სამი შეკითხვა სამ გორელ ოლიმპიელს

პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე თავისუფალ ჭიდაობაში სამი გორელი ფალავანი მონაწილეობდა - **ბესიკ გუჩაშვილი** (55), **ოთარ თუშიშვილი** (66) და **გიორგი გოგშელიძე** (96). საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **ნუგზარ სხირელის** ორმა შეგირდმა (თუშიშვილი, გოგშელიძე) ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა. ჩინეთის დედაქალაქიდან დაბრუნებულ სამივე სპორტსმენს გუშინ ტელეფონით შევეხმიანე და რამდენიმე შეკითხვა დავუსვი:

**1. როგორ შეგხვდნენ ახლობლები და გულშემატკივრები და განსაკუთრებით რამ მოახდინა შთაბეჭდილება?**

**2. პეკინში მიღწეული შედეგებით კმაყოფილი ხართ?**

**3. ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადებას როდიდან დაიწყებთ?**



**ოთარ თუშიშვილი:** 1. თბილისის აეროპორტში დამხვდნენ ოჯახის წევრები და ახლობლები. ყველაზე მეტად იმან გამახარა, რომ მათ შორის იყვნენ ჩემი მწვრთნელი ნუგზარ სხირელი, დავით პოლოსიანი და გორელი მოჭიდავეები. მათთან ერთად პირდაპირ მშობლიურ ქალაქში გავემგზავრე. პეკინში ჩემს წასვლამდე დაბომბეს იგი რუსებმა, ამიტომ ვიცოდი, როგორ მდგომარეობაში დამხვდებოდა, მაგრამ მაინც მეხამუშა ხმაურიანი, მხიარული გორის სიჩუმე. ნაღვლიანი და დამწუხრებული უბნელების დანახვაზე გული დამწვა.

2. ოლიმპიადისთვის კარგად მოვემზადე და ჩემი ჭიდაობითაც კმაყოფილი ვარ, შედეგზე კი რა მოგახსენოთ. ნახევარფინალში თურქ შაჰინთან ორთაბრძოლისას პირველი პერიოდი მსაჯებმა წამაგებინეს. მერე საკუთარ თავს ვერ მოვერიე და შეხვედრაც დავთმე. მესამე ადგილისთვის პაექრობისას კი კუბელ გარსონისთვის წარმატების შანსი არ მიმიცია. ბედნიერი ვარ იმით, რომ ოთხწლიანი გარჯა წყალში არ ჩამეყარა - ბრინჯაოს მედალი დავიმსახურე.

3. თქვენც იცით, რომ ბოლო წლებში ტრავმებმა შემაწუხა. იმას ვფიქრობდი, პეკინის ოლიმპიადა კარგად ჩამამთავრებინა და დარბაზისკენ აღარც გავიხედავ-მეთქი. თურმე, სულ ტყუილი ყოფილა - გორში ჩამოსვლა ვერც მოვასწარი, რომ დღეს უკვე დარბაზს მივაშურე. სანადელს აუცილებლად უნდა მივაღწიო.



**გიორგი გოგშელიძე:** 1. ომის დაწყების შემდეგ ოჯახის წევრები თბილისში წამოვიყვანე, რომ უფრო მშვიდად ვყოფილიყავი პეკინში. ჩინეთის დედაქალაქიდან დაბრუნებულს სწორედ ისინი დამხვდნენ აეროპორტში მეგობრებთან ერთად. ბიჭებმა მითხრეს, შენს „ბრინჯაოს" „ოქროს"ფასი აქვსო. გულზე ოდნავ მომეშვა, რადგან სხვებიც დარწმუნებული არიან, რომ ჩემპიონობა მეკუთვნოდა.

2. ნახევარფინალის გარდა, არც ერთ შეხვედრაში ქულა არ დამიკარგავს. თიგიევთან ორთაბრძოლას კი ჭიდაობას ვერ ვუწოდებ - ამის საშუალება მან არ მომცა. მთელი პირველი პერიოდის განმავლობაში ხელს სახესა და თვალში მირტყამდა. ბოლოს ისე მატაკა თითი თვალში, ტკივილისგან მოთმინება დავკარგე და საკადრისი პასუხიც გავეცი.

ამდენი ხანი იმიტომ ვემზადებოდი, რომ ოლიმპიადა მომეგო. სხვაგვარად ნუ გამიგებთ და, მესამე ადგილი ჩემთვის გამარჯვებას არ ნიშნავს. ერთი რამით მაინც კმაყოფილი ვარ - კუბელი ბატისტას დამარცხებით ყველას დავუმტკიცე, რომ ტრავმირებული ქართველებიც იოლად არავის არაფერს დავუთმობთ.



3. ჯერ ვისვენებ და დაზიანებულ თვალს ვიმუშებ. ამიტომ ახლა დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვით, თუმცა ისეთ ასაკში არ ვარ, ჭიდაობას თავი დავანებო.

**ბესიკ გუჩაშვილი:** 1. პეკინში რომ მივდიოდი, დაბომბილი გორი დავტოვე, მაგრამ ჩემს არყოფნაში რუსებს აქაურობა უფრო საშინელ დღეში ჩაუგდიათ. მეზობლების უმეტესობა გახიზნულია და ჯერ არ დაბრუნებულა საკუთარ სახლებში. ვიმედოვნებ, რომ ჩემი ქალაქი მალე აღიდგენს უწინდელ იერს.

2. ჩინეთის დედაქალაქში პირველი შეხვედრა იოლად მოვუგე რუმინელ პეტრუ ტოარკას, მეოთხედფინალში ამერიკელ ჰენრი კეჯუდოსთანაც დავწინაურდი, მაგრამ მერე არ ვიცი, რა მომივიდა - ორივე პერიოდი დავთმე. დამამშვიდებელ ჯგუფში კი ბულგარელ მსოფლიო ჩემპიონ ველიკოვს ვერაფერი მოვუხერხე.

3. ოცდახუთი წლის ვარ. ჯერ ადრეა, დიდი სპორტიდან წასვლაზე ფიქრი. ყოველ შეჯიბრებაზე წარმატებისთვის სულ პატარა რაღაც მაკლდება და უნდა ვეცადო, ეს უიღბლობა გადავლახო. ყველაფერს ვილონებ დიდ სარბიელზე ჩემპიონობის მოსაპოვებლად...

გორელ მოჭიდავეებს თბილისის აეროპორტში დახვდა მათი მწვრთნელი ნუგზარ სხირელი, რომელსაც მთელი რუსული აგრესიის პერიოდში მშობლიური ქალაქი წუთითაც არ დაუტოვებია. იგი შეგირდების შედეგებით კმაყოფილიცაა და გულდაწყვეტილიც, რადგან მიაჩნია, რომ გორელ ფალავნებს მეტის გაკეთება შეეძლოთ.

- ბესიკ გუჩაშვილმა პეკინის საგზურის მოსაპოვებლად გრძელი გზა გაიარა, - მითხრა ბატონმა ნუგზარმა, - ზედიზედ ოთხი მნიშვნელოვანი შეჯიბრების წინ წონა დაიკლო. ამის მიუხედავად, კარგად იყო მომზადებული და მედლისთვის ბრძოლა შეეძლო, მით უმეტეს, რომ ამერიკელ მსოფლიო ჩემპიონს პირველი პერიოდი მოუგო, მერე კი დასანანი მარცხი იწვნია.

ოთარ თუშიშვილი ბოლო სამი წელია, ელიტიდან არ გამოდის - მსოფლიო ჩემპიონატებზე ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. არც პეკინში მეეჭვებოდა მისი სამეულში შესვლა. რომ არა მიკერძოებული მსაჯობა, მას უკეთესი ხარისხის ჯილდოს მოპოვება შეეძლო. თურქ შაჰინთან შეხვედრისას არბიტრმა ტომარაში ჩაიხედა და ბურთულა ისე ამოიღო. მერე თურქს დაუმსახურებლად მისცეს ქულა. ერთი სიტყვით, დაგვჩაგრეს, ისევე, როგორც გოგშელიძის შემთხვევაში. სადაც სამართლიანობაა, გიორგის ფინალში უნდა ეჭიდავა. იგი ფავორიტი იყო. ეს სხვებმაც იცოდნენ და მისი წონასწორობიდან გამოყვანა მოახერხეს. ამ დონის სპორტსმენს ეს არ ეპატიება.

ყოველივეს მიუხედავად, ჩემი შეგირდების შედეგებით კმაყოფილი ვარ. ისინი ახლა ცოტას დაისვენებენ და ვარჯიშებს განაახლებენ. ოთარ თუშიშვილი კი უკვე მოვიდა დარბაზში, რომელიც ომის დღეებში გაპარტახდა. ბიჭების დახმარებით იგი დავასუფთავეთ, ლეიბები დავალაგეთ და მწყობრში მოვიყვანეთ. მომდევნო კვირიდან აქ ვარჯიშებს დავიწყებთ და აქ გაზრდილი ბიჭები კვლავაც გვასახელებენ.

**ვაჟა დანელია**

# ცირეკიძე ქუთაისმა დააჯილდოვა

ბოლო ორი წლის განმავლობაში **ირაკლი ცირეკიძემ** (90 კგ) მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწია. ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა შარშან, რიო დე ჟანეიროს მსოფლიო პირველობაზე, ყველას აჯობა და 18-წლიანი ლოდინის შემდეგ საქართველოს ოქროს მედალი მოუტანა.

რიონისპირელმა ორიოდ კვირის წინ კიდევ ერთი დიდი სიხარული აჩუქა რუსეთის აგრესიისგან განაწამებ სამშობლოს - პეკინის ოლიმპიურ ტატამზე ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხა ეგვიპტელი **მესბა**, აზერბაიჯანელი **მამადლი**, რუსების იმედი **პერშინი**, ალჟირელი **ბენიხლეფი** და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ის პირველი ქართველი ძიუდოისტია, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი და ოლიმპიური ოქრო.

ირაკლი ცირეკიძე გუშინწინ ჩვენს ოლიმპიურ დელეგაციასთან ერთად დაბრუნდა საქართველოში. გუშინ კი მშობლიურ ქუთაისში მოუწყვეს შეხვედრა. ქალაქის მერიამ ოლიმპიური ჩემპიონი 5 ათასი ლარით დააჯილდოვა.

**ვაჟა დანელია**



კალათბურთი

# ლუქსემბურგში ავსტრიის გავლით

## გამარჯვება მასპინძლებთან

გუშინ რიგაში დასრულდა კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ოთხი გუნდი მონაწილეობდა. წინა ორ ტურში საქართველოს ნაკრებმა ჯერ ჩეხეთს სძლია, მეორე მატჩი კი საფრანგეთთან დათმო. ბოლო ტურში ჩვენებს მეტოქეობას უწევდნენ მასპინძლები, რომლებიც ორი მოგებით ლიდერობდნენ.

ლატვიელებთან პაექრობა დაძაბულად წარიმართა. პირველი მეოთხედი **იგორ კოკოშკოვის** ბიჭებმა 3 ქულით მოიგეს - 22:19; მომდევნო ორ 10-წუთიან მონაკვეთშიც სტუმრების უპირატესობა აშკარა იყო - 22:15, 20:17. მასპინძლებმა მხოლოდ ბოლო რაუნდში იმარჯვეს - 21:16. მაგრამ მატჩის გადასარჩენად ეს არ ეყოთ. საქართველოს ნაკრებმა ლატვიელებს 80:72 აჯობა.

ჩვენების მონაგარი ასეთია: **ცინცაძე - 5 ქ, ელისი - 10, სანიკიძე - 5, ცქიტიშვილი - 9, ფაჩულია - 14, ვ. ბოისა - 18, გამყრელიძე - 14, ა. ბოისა - 5, შერმადინი, ტულუში.**

მასპინძელთაგან გამოირჩნენ: **იანიჩენოკსი - 18, ბიედრინსი - 18, ბლუმსი - 15, ბერზინსი - 12.**

როგორც კალათბურთის ფედერაციის პრესცენტრის ხელმძღვანელმა **ირაკლი პერტაიამ** გვაცნობა, პრესკონფერენციაზე იგორ კოკოშკოვს უთქვამს:

*„ამ მოგებას უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენ ახლა განსაკუთრებულად უნდა მივაქციოთ ყურადღება გასვლით მატჩებს, რაკი სექტემბერში ოთხივე შეხვედრა სტუმრად გვაქვს. ლატვიელების დამარცხება კი იმიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ ისინი მასპინძლები იყვნენ. ბიჭებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს, ვიდრე ჩეხეთთან. საერთოდაც, ეს იყო ჩვენი ნაკრების საუკეთესო მატჩი, რაც ძირითადად დაცვაში კარგი თამაშის შედეგია. დიახ, ეს ორთაბრძოლა დაცვამ მოგვაგებინა, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გუნდი სწორედ დაცვიდან იწყობა. ამ შეკრებისა და ამხანაგური მატჩების მთავარი მიზანიც ხომ ამ კომპონენტის დახვეწა და სრულყოფა იყო. ჩვენ გუშინ ვნახეთ ფრანგებისა და ლატვიელების პაექრობა და სათანადო დასკვნებიც გამოვიტანეთ. ბიჭებს ვუთხარი, რომ თუ დაცვაში კარგად ითამაშებთ, შეტევაში ბურთების ჩაყრა არ გაგიჭირდებათ-მეთქი. ასეც მოხდა. დღეს გუნდის ყველა წევრი ამაყია. მათ პატარა სასწაული მოახდინეს. ლატვიელი ქომაგი და, განსაკუთრებით, თავად მოთამაშეები, ვერაფრით წარმოიდგენდნენ, რომ ჩვენ მათ დავამარცხებდით. მასპინძელთა წაგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც, ალბათ, ზედმეტი თავდაჯერებულობა იყო. იმის მიუხედავად, რომ სერიოზული წინსვლა გვაქვს, მიღწეულით არ დავკმაყოფილდებით. ახლა მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ, რათა შესარჩევ მატჩებამდე თამაშის ხარისხი უფრო გავაუმჯობესოთ. თუ ეს მოვახერხეთ, მჯერა, საკვალიფიკაციო ტურნირის ოთხივე გასვლით შეხვედრას მოვიგებთ".*

დღეს საქართველოს ნაკრები ავსტრიას გაემგზავრება და 29-30 აგვისტოს იქაურ ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება, 6 სექტემბერს კი ლუქსემბურგში პირველი ოფიციალური ორთაბრძოლაა.

გუშინვე ფრანგებმა ჩეხებს მოუგეს - 89:66. საბოლოოდ, რიგის ტურნირზე სამმა გუნდმა ერთნაირი ქულები დააგროვა. ურთიერთშეხვედრების მიხედვით, ადგილები ასე განაწილდა:

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 3 | 2 | 1 | 226-202 | 4 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 246-219 | 3 |
| საქართველო | 3 | 2 | 1 | 223-230 | 3 |
| ჩეხეთი | 3 | 0 | 3 | 189-233 | 2 |

**ვაჟა დანელია**

ბატუტზე ხტომა. ინტერვიუ ლუბა გოლოვინასთან

# ლონდონში ჩემი საქართველო უნდა ვასახელო




18 წლის ლუბა გოლოვინამ პეკინის ოლიმპიადაზე ბატუტისტთა ელიტაში შეაბიჯა, ერთ დროს პერსპექტიულმა გოგონამ ყველას დაანახვა, რომ ის უკვე გაიზარდა და ამიერიდან, უმაღლესი ტიტულების ერთ-ერთი მოცილეა. პეკინში დაკავებული მე-6 ადგილით იმედი ჩაგვესახა, რომ ოთხი წლის შემდეგ, ლონდონში ლუბასგან ოლიმპიურ მედალს უნდა ველოდეთ. რაც ყველაზე მთავარია, თავად სპორტსმენიც ამას ფიქრობს. გოლოვინას პეკინის საერთაშორისო აეროპორტში მას მერე გავესაუბრეთ, რაც ბარგის არევის გამო იქიდან სამშობლოში გამომგზავრების უკანასკნელი იმედიც გადაგვეწურა. სხვათა შორის, გოლოვინას პროგრესი კიდევ ერთ საკითხშია თვალსაჩინო, რაც ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ახლა იგი გაცილებით უკეთ საუბრობს ქართულად, თითქმის გამართულად.

**- როგორ შეაფასებთ თქვენს გამოსვლას ოლიმპიადაზე?**

- ფინალამდე მე-5 ვიყავი, საბოლოოდ კი მე-6 ადგილი დავიკავე, რაც დებიუტანტისთვის კარგი შედეგია. კმაყოფილი ვარ, მაგრამ მენანება, რომ მეტის მიღწევა ვერ შევძელი, თუმცა შემეძლო. ფინალში ვაპირებდი ხტომების გართულებას, მაგრამ ერთ-ერთ ეპიზოდში ბატუტის კიდესთან ახლოს დავხტი, რის გამოც შემდეგი ხტომები ველარ გავართულე. არადა, ეს კოეფიციენტს გამიზრდიდა. რომ დავითვალეთ, მე და ჩინელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ერთნაირი ქულები მივიღეთ, უბრალოდ, მან ხტომების სირთულის წყალობით უკეთესი კოეფიციენტი დაიმსახურა. ფინალში თუნდაც ისე რომ მეხტუნა, როგორც ეს საკვალიფიკაციოს თავისუფალ პროგარამაში შევძელი, მეორე ან მესამე ადგილს დავიკავებდი. ამაზე მწყდება გული, თორემ თავისთავად შედეგი კარგია.

**- თქვენ ოლიმპიური ტურნირი გახსენით. რატომღაც შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ სწორედ ამიტომ დაგაკლდათ ქულები სავალდებულო ხტომებში..**

- მართალი ხართ, თავიდან მსაჯები ძალზე მკაცრად უდგებიან საქმეს. თითქმის გამორიცხულია, იმ სპორტსმენს, რომელიც პირველად ასპარეზობს, მაღალი ქულები დაუწერონ.

**- სამაგიეროდ, თავისუფალ პროგრამაში იმდენად კარგად გამოხვედით, რომ მსაჯებმა ველარაფერი დაგაკლეს. არადა, როგორც ჩვენ ვიცოდით, სავალდებულო პროგრამაში უფრო მაგარი ხართ, ვიდრე თავისუფალში, რა მოხდა?**

- საქმე ის გახლავთ, რომ პეკინში ოლიმპიურ ბატუტზე ვარჯიში მხოლოდ წინადღეს შევძელით და ისიც მხოლოდ ერთხელ, ეს კი ძალზე ცოტაა. შეჯიბრების დღეს კი ამის საშუალებაც არ გვქონია. ბატუტიც ცუდად „ვიგრძენი", სპორტსმენისთვის ახალ ბატუტთან შეგუება ხშირად პრობლემურია. ამას დავუმატოთ სასტარტო მღელვარება და ბევრი რამ გასაგები გახდება. თავისუფალში კი მართლაც კარგად გამოვედი და ფინალში გასვლა არ გამჭირვებია.

**- კი, მაგრამ რატომ არ მოგცეს მეტი ვარჯიშის საშუალება?**

- ვერაფერს გეტყვით, ასე გადაწყვიტეს. მხოლოდ მე არა, ეს პრობლემა ყველას შეეხო. ნახეთ ალბათ ფინალში, შეჯიბრების წინ ერთი მისვლის საშუალება ყველას მოგვცეს.

**- უახლოეს ხანებში რას გეგმავთ?**

- თბილისში როცა ჩავალ, პირველ რიგში, დავისვენებ, შემდეგში კი ისევ ჩვეული რეჟიმით ვარჯიშს განვაგრძობ. შემოდგომიდან უკვე ახალი ოლიმპიადისთვის მზადებას ვიწყებთ. მინდა, ჩემი საქართველო ვასახელო და ლონდონში ერთ-ერთი ოლიმპიური მედალი მოვიპოვო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი. ლეგიონერები

# ფავორიტები იწყებენ და აგებენ



საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი ელიტურ პირველ დივიზიონში სენსაციურად დაიწყო. ჩემპიონატის სავარაუდო პრეტენდენტთაგან ორმა, "კლერმონმა" და "ტულუზმა", მარცხი განიცადა.

**დავით ზირაქაშვილის** "კლერმონმა" გასვლითი შეხვედრა გამართა **დავით ქუბრიაშვილისა** და **გია ლაბაძის** "ტულონთან". პირველ ტაიმი სტუმრებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს და მშრალი ანგარიშით 13:0. მოიგეს. თუმცა, მერე თამაშში ყველაფერი თავდაყირა დადგა. პირველი დივიზიონის დებიუტანტმა მრისხანე მეტოქეს სამი ლელო გაუტანა, რასაც "ვულკანებმა" მხოლოდ ერთი საჯარიმო დარტყმით უპასუხეს. საბოლოოდ, გამარჯვება "ტულონს" დარჩა 22:16, რაც იმის დასტურია, რომ **ტანა უმაგას** დამოძლვრილი ვარსკვლავური გუნდი ელიტაში სტატისტის როლში ყოფნას არ აპირებს.

დავით ზირაქაშვილი თამაშში თავიდან ბოლომდე მონაწილეობდა. ქუბრიაშვილი და ლაბაძე განაცხადში არ იყვნენ.

კიდევ ერთი ფავორიტი "ტულუზი" სტუმრად დამარცხდა **მამუკა გორგოძის** "მონპელიესთან" 11:16. თავდაპირველად ანგარიშში ტულუზელები დაწინაურდნენ. 27-ე წუთისთვის ისინი 8:0 იგებდნენ. თუმცა მონაგარს 78-ე წუთამდე ვერაფერი შემატეს, მაშინ როცა მონპელიელებმა 16 ქულას მოუყარეს თავი. გორგოძე თამაშში 77-ე წუთიდან ჩაერთო.

ასევე სტუმრად დამარცხდა "პერპინიანთან" **დავით ხინჩაგიშვილის** "ბრივი" 18:34. სტუმრებმა მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა კატალონიელებს 51-ე წუთამდე გაუწიეს. მასპინძლები ამ დროისთვის მხოლოდ ერთ ქულას იგებდნენ. რის შემდეგაც "პერპინიანმა" მეტოქის გატეხა მაინც შეძლო. ხინჩაგიშვილი 41-ე წუთზე შეცვალეს.

შინ, მოულოდნელად მინიმალური ანგარიშით 26:27 დამარცხდა "ბაიონთან" **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრი". გლობუსა განაცხადში არ იყო.

არ უთამაშია "დაქსის" შემადგენლობაში მის უმცროს ძმას **ირაკლი გიორგაძესაც.** დაქსელები შინ დამარცხდნენ ქვეყნის ჩემპიონ "სტად ფრანსესთან" 9:31.

საკუთარ მოედანზე დივიზიონის დებიუტანტი "მონ დე მარსანი" დაამარცხა **გოდერძი შველიძის, გიორგი მჭედლიშვილისა** და **ბექა შეყლაშვილის** "მონტობანმა" 37:19. ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ.

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

**I ტური**

**პერპინიანი-ბრივი 34:18, კასტრი-ბაიონი 26:27, ბიარიცი-ბურგუენი 29:22, მონტობანი-მონ დე მარსანი 37:19, მონპელიე-ტულუზი 16:11, დაქსი-სტად ფრანსე 9:31, ტულონი-კლერმონი 22:16.**

**სატურნირო მდგომარეობა:**

**1. სტად ფრანსე-5 ქულა, 2. მონტობანი-5, 3. პერპინიანი-4, 4. ბიარიცი-4, 5. ტულონი-4, 6. მონპელიე-4, 7. ბაიონი-4, 8. კასტრი-1, 9. ტულუზი-1, 10. კლერმონი-1, 11. ბურგუენი-1, 12. ბრივი-0, 13. მონ დე მარსანი-0, 14. დაქსი-0.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# საქა-რთველო მსოფლიო ტურს დაუბრუნდა




საქა



რთველო

ქართველი პლაჟბურთელები ოლიმპიური ბატალიების შემდეგ ისევ მსოფლიო ტურის გათამაშებაში ჩაებნენ. მორიგი ეტაპი ამჯერად ნორვეგიის ქალაქ კრისტიანსანდში დაიწყო. ქართული წყვილებიდან ასპარეზობაში ქალებს შორის **საქა-რთველო** ჩაერთო. ჩვენი ფრენბურთელები ძირითად ბადეში მეოთხე ნომრად არიან განთესილი.

საქა-რთველომ, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ დღეს წარმატებით იასპარეზა და ორივე შეხვედრა მოიგო. ჩვენი ფრენბურთელების მსხვერპლი ჯერ მასპინძელთა დუეტი **მიპრი-აასენი** შეიქნა 2:0 (21:13, 21:16). მომდევნო მეტოქე კი ჩეხური წყვილი - **კლაპალოვა** და **პეტროვა** - იყო. მე-13 ნომრად განთესილ დუეტთან საქართველოს ოდნავ გაუჭირდა გამკლავება, თუმცა სამ სეტში მაინც სძლია 18:21, 21:18, 15:8.

საქა-რთველოს მორიგი მეტოქე ავსტრიელ დებ **შვაიგერებსა** და იტალიურ დუეტ **მომოლი-გიორიას** შორის გამარჯვებული იქნება.

ვაჟთა შორის **გეორ-გია** ასპარეზობაში დღეიდან ჩაერთვება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი უცნობთან დამარცხდა

ჰოლანდიის ქალაქ ფლაარდინხენში საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (210) 25-ათასდოლარიან ტურნირში პირველ ნომრად განთესეს. საწყის წრეში მაკას „უაილდ ქარდით" მიწვეული 19 წლის ჰოლანდიელი **მარლოტ მედენსი** (488) შეხვდა. სამწუხაროდ, ქართველი ჩოგბურთელის წარუმატებლობა ჰოლანდიაშიც გაგრძელდა, მან სამ სეტში 7:5, 3:6, 6:7 (6) წააგო და ერთეულთა თანრიგს დაემშვიდობა. წყვილთა თანრიგში მაკა არგენტინელ **ფლორენცია მოლინეროსთან** (328) ერთად მე-3 ნომრად არის განთესილი. პირველ წრეში მათ ფრანგი **შოფელისა** და ჰოლანდიელი **სხოფსის** წყვილი დაამარცხეს – 6:2, 7:5. მეოთხედფინალში ჩახნაშვილსა და მოლინეროს „უაილდ ქარდით" მიწვეული **ტიგუ** და **ფეტერინხსი** (ჰოლანდია) დაუპირისპირდებიან.

ავსტრიის ქალაქ პორტშახში 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში 16 წლის **ეკა გორგოძე** (733) პირველ ნომრად იყო განთესილი. ეკამ პირველი ამოცანა წარმატებით გადაჭრა – ძირითად ბადეში გავიდა. გზად გორგოძემ ჯერ უბრძოლველად ჩამოიცილა ავსტრიელი **პამელა ამონი**, რომელმაც ტრავმა მიიღო, შემდეგ კი მოლდოველი **ალინა პეტრაში** დაამარცხა – 6:0, 6:3. ტურნირის ძირითად ბადეში ეკა გორგოძემ მე-8 ნომრად განთესილ **ანალიზა ბონასთან** (იტალია) წააგო – 4:6, 6:3, 3:6. ტურნირის ძირითად ბადეში ჩაება **სოფიო ქვაცაბაია** (666), რომელმაც პირველ წრეში მე-3 ნომრად განთესილ შვეიცარიელ **ნიკოლ რინერთან** (463) წააგო – 0:6, 1:6. ტურნირის წყვილთა ბადეში გორგოძისა და ქვაცაბაიას დუეტი მე-2 ნომრად არის განთესილი. ისინი ბრძოლა მეოთხედფინალიდან იწყებენ.

ყაზახურ ალმათიში 35-ათასიან ტურნირში **ირაკლი ლაბაძე** ასპარეზობს. საქართველოს პირველმა ჩოგანმა პირველ წრეში ორ სეტში დაამარცხა სლოვაკი **მარეკ სემიანი** – 7:5, 6:3. მეორვედფინალში ლაბაძის მეტოქე მე-6 ნომრად განთესილი გერმანელი **ალექსანდერ ფლოკია.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები

# მსოფლიო დღეს იწყება

მრავალნატანჯი მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის დღეს აიღებს სტარტს. ფიდეს ამჟამინდელი პრეზიდენტის **კირსან ილუმჟინოვის** მეცადინეობით მასპინძლობა ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქმა ნალჩიკმა იკისრა. წესის თანახმად, 64 მოჭადრაკეს უნდა დაეწყო ამ უმაღლეს ფორუმში ასპარეზობა. მოჭადრაკეებმა ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება სხვადასხვაგვარად მიიღეს... ქართველთა პროტესტის გამო 64 მონაწილე აღარ შეიკრიბება. ჩვენებურებს მხარი ჰოლანდიელმა **თეა ლანჩავა-ბოსბუმმა**, ამერიკელმა **ირინა კრუშმა** და ფრანგმა **მარი სებაგმა** აუბეს; ქართველ ქალთა რაოდენობა ექვსი იყო და გამოდის, რომ სადღეისო ინფორმაციით 9 მონაწილემ თქვა უარი.

გუშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ქართველ ქალთა კოჰორტა შეიკრიბა: **ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნინო გურიელი**; აქვე იყვნენ "დაზარალებული" ქალბატონებიც: **ნინო ხურციძე, ლელა ჯავახიშვილი, მია ლომინეიშვილი, სოფიო გვეტაძე** და **სოფიკო ხუხაშვილი**. **მაია ჩიბურდანიძემ** მიზეზთა გამო მოსვლა ვერ შეძლო. პრესკონფერენციაზე ახალი არაფერი თქმულა, დადასტურდა ის, რასაც "ლელო" ამ დღეებში ვარაუდობდა - საქართველოს ხელისუფლებამაც იგივე პოზიცია დაიჭირა, როგორიც მოჭადრაკეებმა - რუსეთში გამგზავრება მიზანშეუწონლად მიიჩნია. გადაწყვეტილებას ყველა ერთხმად დაეთანხმა, მედიისთვის მცირე კომენტარებიც გააკეთეს და საკითხს საბოლოოდ დაესვა წერტილი.

თუმცა წერტილი არ დასმია ჩვენს ინტერესს - როგორ ჩაივლის ისტორიაში პირველად უქართველებო მსოფლიო ქალთა ჩემპიონატი. დებულებით 64 მოჭადრაკე პირადი რეიტინგების მიხედვით დაწყვილდა: პირველი სამოცდამეოთხეს ხვდება, მეორე - 63-ს და ასე შემდეგ... ასევე, არსებული წესის თანახმად, ბადე არ უნდა შეიცვალოს, ანუ თუკი ვინმე უარს იტყვის, მას არგამოცხადება (Bay) ჩაეწერება და მეტოქე უბრძოლველად გავა მომდევნო ეტაპზე. საინტერესოა ისიც, თუ ქართველთა და სებაგკრუშის უარის გამო ვინ იხეირა. ნინო ხურციძე რუს **სვეტლანა მატვეევას** უნდა შეხვედროდა; თეა ლანჩავა-ბოსბუმი ამერიკელ **ანა ზატონსკიხს** დაუთმობს გზას; სოფიო გვეტაძის მეტოქე რუსი **ეკატერინა კორბუტი** იქნებოდა, ლელა ჯავახიშვილის - არგენტინელ **კლაუდია ამეურა**; მაია ჩიბურდანიძეს ვიეტნამელი **ნგუენ თი** უნდა გამოეცადა, ხოლო ამერიკელ **ირინა კრუშს** იტალიელი **ელენა სედინას** წინააღმდეგობა უნდა დაეძლია. არაფერი გვითქვამს **მაია ლომინეიშვილისა** და **სოფიკო ხუხაშვილის** მეტოქეებზე. საქმე ის არის, რომ ესენი პირველ ეტაპზე ერთმანეთს ხვდებოდნენ და, ცხადია, ამ წყვილიდან ვერც ერთი იხეირებს, თუმცა მეორე წრეში მათი სავარაუდო მეტოქე ლიწინ-ლიწინით გავა მერვედფინალში. სავარაუდოდ, ეს ქალბატონი ტურნირის უმთავრესი ფავორიტი, პირველი ნომერი ინდოელი **ჰამპი კონერუა**. ჰამპი რომ პირველ ეტაპს დაძლევს, ეჭვი არავის ეპარება, მეორეში კი აშკარად საფრთხის წინაშე იდგა - არც ლომინეიშვილთან ელოდა იოლი ბრძოლა და არც ხუხაშვილთან. დიდი შანსია და რატომღაც ინტუიცია მკარნახობს, რომ მსოფლიო ჩემპიონატს სწორედ კონერუ მოიგებს და ამას დიდწილად ზუსტად იმიტომ შეძლებს, რომ მეორე წრეში ქართველთან დაპირისპირებას ასცდა.

დღეს ამით დავასრულოთ. ფავორიტებსა და ტურნირის მიმდინარეობაზე მომდევნო წერილებში ვისაუბროთ.

**ზვიად შათირიშვილი**

| 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 | ფინალი | ფინალი | 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სიუ იუჰუა (ჩინეთი) | | | | | | | | | | | ჰამპი კონერუ (ინდ) |
| ანზელ სოლომონსი (ს.ა) | | | | | | | | | | | ოირსა ელ დინი (ეგვ) |
| ნინო ხურციძე (საქარ) | | | | | | | | | | | მაია ლომინეიშვილი (საქ) |
| სვეტლ. მატვეევა (რუს) | | | | | | | | | | | სოფიკო ხუხაშვილი (საქ) |
| ელიზაბეტ პეჰცი (გერ) | | | | | | | | | | | ჰოანგ თრანგი (უნგ) |
| ილაჰა კადიმოვა (აზერ) | | | | | | | | | | | მარიცა არიბასი (კუბა) |
| ანა უშენინა (უკრ) | | | | | | | | | | | მონიკა სოჩკო (პოლ) |
| თჰან თუ (ვიეტნ.) | | | | | | | | | | | საბინა ფოიშორი (რუმ) |
| ტატ. კოსინცევა (რუს) | | | | | | | | | | | სიუ ჟაო (ჩინ, 9) |
| ნაფისა მუმინოვა (უზბ) | | | | | | | | | | | მარიზა სურიელი (არგ) |
| ანა ზატონსკიხი (აშშ) | | | | | | | | | | | იანგ შენი (ჩინ) |
| თეა ლანჩავა (ჰოლ) | | | | | | | | | | | ქეთინო გერშინსკა (გერ) |
| ალა კოსტენიუკი (რუს) | | | | | | | | | | | ვიქტორია ჩმილიტე (ლიტ) |
| ათუშა პარკუშიანი (ირ) | | | | | | | | | | | ვალენტინა გოლუბენკო (ხორ) |
| ეკატ. კორბუტი (რუს) | | | | | | | | | | | ნადეჟდა კოსინცევა (რუს) |
| სოფიო გვეტაძე (საქ) | | | | | | | | | | | ნიშა მოჰოტა (ინდ) |
| ანტუანეტა სტეფანოვა (ბულ) | | | | | | | | | | | იფან ჰოუ (ჩინ) |
| კარენ საპატა (პერუ) | | | | | | | | | | | მონა ხალედი (ეგვ) |
| ნატაშა ბოიკოვიჩი (სერ) | | | | | | | | | | | ივეტა რაილიხი (პოლ) |
| ძუ ვენძიუნი (ჩინ) | | | | | | | | | | | ბახტ. მონგოლტული (მონგ) |
| ნატალია ჟუკოვა (უკრ) | | | | | | | | | | | მაია ჩიბურდანიძე (საქ) |
| კატერინ როჰონიანი (აშშ) | | | | | | | | | | | თჰი ნგუენი (ვიეტ) |
| ინა გაპონენკო (უკრ) | | | | | | | | | | | ირინა კრუში (აშშ) |
| ჟანკ ძილინი (ჩინ) | | | | | | | | | | | ელენა სედინა (იტა) |
| პია კრამლინგი (შვედ) | | | | | | | | | | | მარი სებაკი (საფრ) |
| სარაი სანჩესი (ვენ) | | | | | | | | | | | ანა გასიკი (პოლ) |
| ტანია საჩდევი (ინდ) | | | | | | | | | | | ლილიტ მკრტჩიანი (სომხ) |
| ტან ჟანკუი (ჩინ) | | | | | | | | | | | ევა მოზერი (ავსტრ) |
| ლუფეი რუანი (ჩინ) | | | | | | | | | | | ანა მუზიჩუკი (სლოვ) |
| ირ. ზაკურდიაევა (რუს) | | | | | | | | | | | მარია ველჩევა (ბულ) |
| ლელა ჯავახიშვილი (საქ) | | | | | | | | | | | ჰარიკა დრონავალი (ინდ) |
| კლაუდია ამურა (არგ) | | | | | | | | | | | ვერა ნებოლშინა (რუს) |

ავტოსპორტი

# ასე ხდებიან ავტომრბოლები

## ანუ გზა გასავლელი კარტინგიდან ტურინგქარამდე



ასე იწყება ავტომრბოლობა, ასე ირჩევენ ყველაზე სახიფათო, მაგრამ ამავე დროს საინტერესო პროფესიას, ასე ხდებიან ავტომრბოლები. ჯერ პატარა მანქანებით თამაშობენ, მერე პედლებიანით დასეირნობენ ოთახებსა თუ ეზოში, სკამებისგან სპორტული ავტომობილის კოკპიტს ქმნიან, შიგნით სხდებიან და რბოლის იმიტაციას ძრავას ხმით ახდენენ. ამას ტრასაზე, მშობლებთან ერთად, რბოლის ხილვა მოჰყვება. მერე ნათესავის, ახლობლის თუ ნაცნობი ავტომრბოლის შლემს ირგებენ და უკვე წარმოიდგენენ, როგორ ასპარეზობენ და ამ წარმოდგენაში ცდილობენ, არაფრით ჩამორჩნენ არავის. თამაშ-თამაშ ერთ-ორ წრეს გადიან გამარჯვებულ ავტომრბოლთან ერთად და რამდენად სასიამოვნოა, როცა ეს პილოტი მისი ნათესავია. კარტინგით, პატარა სარბოლო ავტომობილით ასპარეზობის დროც დგება. ახლა თვითონ ირგებს მთელ ეკიპირებას, ჯდება კარტინგში და, მარტოდმარტო, სხვისგან დაუხმარებლად გადის ტრასაზე და ცდილობს გააკეთოს ის, რაც ასწავლეს.

აქ უკვე თვითონ განაგებს საკუთარ ბედს. თუ ინსტრუქტორის დავალებებს კარგად და სწორად შეასრულებს, ტექნიკური და ტაქტიკური ბრძოლის ცოდნას გამოავლენს, გასწრებისა და თავდაცვის სარბოლო ილეთებს სწორად შეასრულებს, წარმატებაც დაუყოვნებლივ მოვა. მაგრამ არ უნდა აჩქარდეს. მომენტალური წარმატება იშვიათად მოდის. მთავარია, ძალიან მოინდომოს და წარმატებისკენ სწორი, პატიოსანი გზა აირჩიოს, არ მიბაძოს მას, ვისაც მიზნად აქვს დასახული წარმატების მისაღწევად ნებისმიერი ხერხი გამოიყენოს, ავარიული სიტუაციების შექმნით ჩამოიშოროს ძლიერი მეტოქეები და გამარჯვება თვითონ დარჩეს (გახსოვთ "ჩიქ ჰიქსი" ჯონ ლესეტერის ნახატი ფილმიდან "მანქანები"?).

კარტინგში წარმატებას მერე უფრო სერიოზული ნაბიჯი მოჰყვება ავტოსპორტში. უცხოეთში ამისთვის ბევრი გზაა - ფორმულა BMW, ფორმულა რენო, ფორმულა მასტერსი და სხვა. ჩვენთან, საქართველოში, ეს გზა "სუძუკი სვიფტისკენ"-იუნიორთა კლასისკენ მიდის. აქ თანატოლებთან, ერთნაირად მომზადებული მანქანებით რბოლებში წარმატებას კიდევ ერთი ნაბიჯით წინსვლა მოჰყვება. ახლა უკვე "ტურინგქარისკენ", სადაც "ჰონდა სივიკით", "სიტროენ საქსოთი", "ოპელ ასტრათი" ასპარეზობენ. თუ გსურს რალის პილოტი გახდე, მაშინ "სუბარუ იმპრეზა" - ყველაზე გამძლე მანქანა უნდა მოირგო და ურთულესი ტრასები, გზები დალაშქრო. უცხოეთში, ყველა სახეობას თავისი პილოტი ჰყავს, თუმცა ზოგჯერ, სპონსორების დაჟინებული მოთხოვნით, პიარაქციის მიზნით, ერთი სახეობის პილოტი მეორეში ცდის ბედს ან ხდება ხოლმე ავტომრბოლებს შორის ტექნიკის გაცვლა. არიან უნივერსალური პილოტებიც, მაგრამ არც ისე ბევრი.

ჩვენთან ყველა, ფაქტობრივად, უნივერსალურია, რადგან აღმართის ჩქაროსნულ დაძლევაში, წრიულ რბოლაში, რალისა და რალი-კროსში ერთნაირად ასპარეზობს.

აქ წარმატებას საკუთარი მოწაფეების აყვანა, მთელი კარიერის ხელახლა გახსენება, კარტინგიდან "ტურინგქარამდე" მთელი გამოცდილების გაზიარება და აღელვება, ნერვიულობა საკუთარი შეგირდის ყოველ გამოსვლაზე, სიხარული წარმატებაზე და სინანული მარცხზე მოჰყვება. რას იზამ, ასე იწყება ავტომრბოლობა და ასე გრძელდება მთელი ცხოვრება.

**დავით ჩუბინიძე**
ავტორის ფოტო

კალათბურთი. ევრობასკეტი 2009

# პარკერი საფრანგეთს დაეხმარება



საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ქვეყნის ეროვნული ნაკრების ლიდერი **ტონი პარკერი** ითამაშებს. როგორც იცით, ადრე "სან ანტონიო სპურსის" გამთამაშებელმა გამოაცხადა, რომ დროებით წყვეტდა სანაკრებო კარიერას, მაგრამ ახლა გადაიფიქრა და ნაკრებისთვის დახმარების გაწევა გადაწყვიტა.

*"ჩემთვის ოლიმპიადის რეპორტაჟების ნახვა ძალზე მძიმე იყო. იქ ყოფნა და ჩემი ქვეყნის ღირსების დაცვა მომინდა. სამწუხაროდ, საფრანგეთი არ იყო წარმოდგენილი პეკინის თამაშებზე. ერთადერთი, რისი გაკეთებაც ახლა შემიძლია, ის არის, რომ ჩემს მშობლიურ გუნდს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელი საგზური მოვუპოვო"*, - განაცხადა პარკერმა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი უკვე დაწყებულია. იმის გამო, რომ A ჯგუფში ხუთი გუნდია თავმოყრილი, აქ საგზურებისთვის ბრძოლა სხვებზე ადრე დაიწყეს და ორი ტურის ჩატარებაც მოასწრეს.

მოულოდნელად ზედიზედ ორი მარცხი იწვნია იტალიის ნაკრებმა. შინ სერბეთთან წაგების შემდეგ, **კარლო რეკალკატის** ბიჭები უნგრეთშიც დამარცხდნენ და ახლა "სკუადრა აძურას" ძალიან გაუჭირდება საგაისო ევრობასკეტზე პირდაპირ მოხვედრა.

ჯერჯერობით ამ ჯგუფში სხვებზე უკეთ ბულგარეთის ნაკრები გამოიყურება, რომელსაც ორიდან ორი მოგება აქვს. ძირითადად ეს რომის "ლოტომატიკის" ამერიკელის, ბულგარეთის პასპორტის მქონე **იბრაჰიმ ჯაბერის** კარგი თამაშის დამსახურებაა.

დანარჩენ ჯგუფებში პირველი ტურის მატჩები 3 სექტემბერს გაიმართება.

**შესარჩევის კალენდარი**

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბულგარეთი-უნგრეთი | 89:71 |
| იტალია-სერბეთი | 64:78 |
| უნგრეთი-იტალია | 68:64 |
| ფინეთი-ბულგარეთი | 68:90 |

**27 აგვისტო**
სერბეთი-უნგრეთი
იტალია-ფინეთი

**30 აგვისტო**
ბულგარეთი-იტალია
ფინეთი-სერბეთი

**3 სექტემბერი**
უნგრეთი-ფინეთი
სერბეთი-ბულგარეთი

**6 სექტემბერი**
უნგრეთი-ბულგარეთი
სერბეთი-იტალია

**10 სექტემბერი**
ბულგარეთი-ფინეთი
იტალია-უნგრეთი

**13 სექტემბერი**
უნგრეთი-სერბეთი
ფინეთი-იტალია

**17 სექტემბერი**
იტალია-ბულგარეთი
სერბეთი-ფინეთი

**20 სექტემბერი**
ბულგარეთი-სერბეთი
ფინეთი-უნგრეთი

**B ჯგუფი**

**3 სექტემბერი**
ლატვია-მაკედონია
პორტუგალია-ესტონეთი

**6 სექტემბერი**
ესტონეთი-ლატვია
მაკედონია-პორტუგალია

**10 სექტემბერი**
ესტონეთი-მაკედონია
ლატვია-პორტუგალია

**13 სექტემბერი**
ესტონეთი-პორტუგალია
მაკედონია-ლატვია

**17 სექტემბერი**
ლატვია-ესტონეთი
პორტუგალია-მაკედონია

**20 სექტემბერი**
პორტუგალია-ლატვია
მაკედონია-ესტონეთი

**C ჯგუფი**

**3 სექტემბერი**
საფრანგეთი-ბელგია
თურქეთი-უკრაინა

**6 სექტემბერი**
უკრაინა-საფრანგეთი
ბელგია-თურქეთი

**10 სექტემბერი**
თურქეთი-საფრანგეთი
ბელგია-უკრაინა

**13 სექტემბერი**
უკრაინა-თურქეთი
ბელგია-საფრანგეთი

**17 სექტემბერი**
საფრანგეთი-უკრაინა
თურქეთი-ბელგია

**20 სექტემბერი**
უკრაინა-ბელგია
საფრანგეთი-თურქეთი

**D ჯგუფი**

**3 სექტემბერი**
ჩეხეთი-ბოსნია
ისრაელი-ბრიტანეთი

**6 სექტემბერი**
ბრიტანეთი-ჩეხეთი
ბოსნია-ისრაელი

**10 სექტემბერი**
ჩეხეთი-ისრაელი
ბრიტანეთი-ბოსნია

**13 სექტემბერი**
ბრიტანეთი-ისრაელი
ბოსნია-ჩეხეთი

**17 სექტემბერი**
ჩეხეთი-ბრიტანეთი
ისრაელი-ბოსნია

**20 სექტემბერი**
ისრაელი-ჩეხეთი
ბოსნია-ბრიტანეთი

სხვადასხვა

კალათბურთი

## შიშკაუსკასი ნაკრებს დაემშვიდობა

ლიტვის ნაკრებისა და მოსკოვის ცსკა-ს თავდამსხმელმა **რამუნას შიშკაუსკასმა** სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ამის შესახებ ვებ-გვერდი lrytas.lt იუწყება.

29 წლის შიშკაუსკასი დიდი ხანია ლიტვის ეროვნულ გუნდში თამაშობს. 2003 წელს ის ევროპის ჩემპიონი გახდა, 2007 წელს კი ამავე ტურნირზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

შიშკაუსკასი პეკინის ოლიმპიადაზეც თამაშობდა, სადაც მისმა გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა.

## მემფისი რენდოლფზე მუშაობს

"მემფის გრიზლისის" ხელმძღვანელობა "ნიუ იორკ ნიქსთან" გაცვლას ამზადებს. კლუბის შეფობას ნიუიორკელი ფორვარდის **ზაკ რენდოლფის** გადაბირება სურს. "გრიზლისი" მზად არის, ამ კალათბურთელის სანაცვლოდ სერბი ცენტრი **დარკო მილიჩიჩი** და რეზერვის რამდენიმე მოთამაშე დათმოს.

გასულ სეზონში ზაკმა 69 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 17.6 ქულა და 10.3 მოხსნა დააგროვა.

## კობი გაურკვევლობაშია

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" სანვრთნელი ბანაკი 30 სექტემბერს გაიხსნება, მაგრამ დღემდე არ არის ცნობილი, დაიწყებს თუ არა გუნდთან ერთად ვარჯიშს მისი ლიდერი **კობი ბრაიანტი**. ეს გაურკვევლობა იმით არის გამოწვეული, რომ კობის ჯერ არ დაუთქვამს ტრავმირებული თითის სამკურნალოდ საჭირო ოპერაციის ვადა.

როგორც ცნობილია, გასული სეზონის განმავლობაში ბრაიანტი ამ ტრავმით თამაშობდა. "ბოსტონთან" ფინალური სერიის შემდეგ, გასული წლის საუკეთესო კალათბურთელმა ოლიმპიადის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი და ოპერაცია მომავლისთვის გადადო.

კრივი

## ვიტალი კლიჩკო 11 ოქტომბერს იჩხუბებს

საბოლოოდ გაირკვა უკრაინელი მძიმეწონოსანის **ვიტალი კლიჩკოს** მომავალი ბრძოლის თარიღი. WBC-ის ვერსიით საპატიო ჩემპიონი ამავე ორგანიზაციის მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონს, ნიგერიელ **სამუელ პიტერს** 11 ოქტომბერს ბერლინში შეხვდება.

კლიჩკო ოთხწლიანი შესვენების შემდეგ პირველად გავა რინგზე და ამ ბრძოლის შემდეგ WBC-ის საჩემპიონო ქამარს ერთადერთი მფლობელი ეყოლება.

## ავსტრიაში ყოფილი ჩემპიონი მოკლეს

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, საკუთარი ბარის წინ ტროტუარზე მკვდარი იპოვეს საშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, სერბი **ედიპ სეკოვიჩი**.

თვითმხილველთა თქმით, 50 წლის მოკრივე ორმა უცნობმა მამაკაცმა სცემა, შემდეგ კი დანით ყელი გამოსჭრა. პოლიციამ ცხელ კვალზე მკვლელობაში ერთ-ერთი ეჭვმიტანილი დააკავა. გარდა ამისა, სამართალდამცავებმა მკვლელობის იარაღიც ამოიღეს.

ოლიმპიზმი

# ბაირონ დევისი ლონდონზე ოცნებობს



"ლოს ანჯელეს კლიპერსის" ახალწვეულმა, NBA-ის ვარსკვლავმა **ბაირონ დევისმა** აღფრთოვანება ვერ დაფარა ოლიმპიადაზე ამერიკის ნაკრების ტრიუმფის გამო. ამასთან ესპანეთის ნაკრების მაღალ კლასსაც გაუსვა ხაზი.

*"ესპანეთმა ჩვენს ბიჭებს ნამდვილი ბრძოლა გამოუცხადა. მოუთმენლად ველი იმ მომენტს, როცა მათი ვუნდერკინდი რიკი რუბიო ჩვენს ლიგაში გადმოვა. რიკი ძალიან მაღალი კლასის მცველად უნდა გაიზარდოს. "პორტლენდს" ძალიან გაუმართლა, როცა რუდი ფერნანდესი აიყვანა. ხომ ნახეთ, ამ ბიჭმა რა დღეში ჩააგდო დუაიტ ჰოვარდი?!*

*ტრანსლაციების ნახვისას ძალიან მომინდა პეკინში ყოფნა. იმედი მაქვს, ოთხი წლის შემდეგ "დრიმ თიმის" რიგებში მიმიწვევენ და ლონდონში თამაშის საშუალება მომეცემა. ახლა ეს ჩემი მთავარი ოცნებაა"*, - ამბობს დევისი.

■ ■ ■

პეკინში გამოსვლით უაღრესად კმაყოფილი დარჩა "კლივლენდ კავალიერზის" ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი**. მან NBA-ის სუპერფინალი და ოლიმპიადა შეადარა ერთმანეთს და უპირატესობა ამ უკანასკნელს მიანიჭა.

*"ვფიქრობ, პეკინში გამარჯვება იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა. ერთი წლის წინ NBA-ის ფინალში ვითამაშე და მაშინ მეგონა, რომ ამაზე ღირებულს კარიერაში ვერაფერს გავაკეთებდი. მაგრამ ასოციაციაში გამარჯვება ვერ შეედრება იმ გრძნობას, რაც ოლიმპიადის ოქროს მედლის მიღებისას ვიგრძენი. მე ხომ ეს გამარჯვება ჩემი ქვეყნისთვის მოვიპოვე"*, - აცხადებს ლებრონი.

# ფიდელმა ვალოდია გაამართლა



კუბის ლიდერმა **ფიდელ კასტრომ** მხარდაჭერა გამოუცხადა ტაეკვანდოისტ **ანხელ ვალოდია მატოსს**, რომელმაც პეკინის ოლიმპიადაზე მსაჯის ცემისთვის სამუდამო დისკვალიფიკაცია მიიღო. შეგახსენებთ, რომ მატოსი მძიმე წონაში მე-3 ადგილისთვის მატჩში ყაზახ **არმან ჩილმანოვთან** ჩხუბობდა და სწორედ ამ ბრძოლის დროს მოაწყო ოლიმპიური თამაშების ყველაზე ხმაურიანი სკანდალი.

ფიდელ კასტრომ ისიც განაცხადა, რომ კრივის ტურნირში მსაჯებმა აშკარად დაჩაგრეს "თავისუფლების კუნძულის" წარმომადგენლები. როგორც იცით, კუბელმა მოკრივეებმა პეკინში ვერც ერთი ოქროს მოგება ვერ შეძლეს.

*"მატოსი მსაჯის გადაწყვეტილებით აღშფოთებული იყო და ბუნებრივია, ვერ შეძლო ნერვების მოთოკვა. ჩვენ მხარს ვუჭერთ სპორტსმენსა და მის მწვრთნელს"*, - მოჰყავს ფიდელ კასტროს სიტყვები სააგენტო "როიტერს".

*"კუბამ ოლიმპიადაზე კრივში ოქროს მედლის აღება ვერ შეძლო. ეს კრიმინალია, მსაჯებმა უბრალოდ "გაძარცვეს" ჩვენი სპორტსმენები*, - აგრძელებს კასტრო, - *ლონდონის თამაშებისთვის აუცილებლად უნდა გადავხედოთ სპორტის სისტემას და ყველანაირი მსგავსი გართულებისთვის კარგად უნდა მოვემზადოთ. დიდ ბრიტანეთში რასიზმის, ევროპული შოვინიზმისა და სამსაჯო სისტემის კორუპციის გამოვლინებას უნდა ველოდეთ"*.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# სოფიამ ელენა ანერვიულა

გუშინ ამერიკის ღია პირველობაზე კაცები პირველი წრის მატჩებს ასრულებდნენ, ქალებმა კი უკვე 1/32 ფინალში დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა.

მამაკაცთა ბადეში სენსაციებს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ, თუმცა "დიდი სლემის" ტურნირებზე მოულოდნელი შედეგები საკმარისადაა და გამონაკლისს არც ეს ჩემპიონატი წარმოადგენს. მაგალითად, ბევრი არ ელოდა **სემ კუერის** იოლ გამარჯვებას ტურნირის 22-ე ნომერ **ტომაშ ბერდიხთან** შეხვედრაში. ახალგაზრდა ამერიკელმა ჩეხს სამ სეტში მხოლოდ ექვსი გეიმი დაუთმო და კარიერაში პირველად გავიდა "დიდი სლემის" მეორე წრეში.

კუერი თითქმის უნაკლოდ თამაშობდა პირველ მოწოდებაზე - 40 დარტყმიდან 35-მა მიაღწია მიზანს და პირველი მოწოდების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი 88-ს გაუტოლდა.

ATP-ის ტურში ოთხწლიანი ბატონობის შემდეგ, **როჯერ ფედერერი** ამჯერად მეორე ჩოგნის რანგში შეხვდა აშშ-ის ღია პირველობას. შვეიცარიელმა შარშანდელი ტიტულის დაცვა არგენტინელი **მაქსიმო გონსალესის** დამარცხებით დაიწყო.

მსოფლიოს 118-ე ჩოგანს შანსი არ ჰქონია ფედერერთან მატჩში. ამ უკანასკნელს ყველაფერი გამოსდიოდა - 15 ეისი ჩააწოდა და პირველი მოწოდების 73 პროცენტი მომგებიან ქულად აქცია. 25 წლის გონსალესის ანალოგიური მაჩვენებლები ერთ ეისსა და 55 პროცენტს შეადგენდა.

პირველი წრის ცენტრალურ მატჩში ფრანგი **რიშარ გასკე** და გერმანელი **ტომი ჰაასი** შეხვდნენ ერთმანეთს. ჰაასმა ტრავმის გამო სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა, რეიტინგში შესამჩნევად დაქვეითდა და ამის გამო, აშშ-ის ღიაზე განთესილებს შორის ვერ მოხვდა. გასკე კი მიიჩნევა ტურნირის მე-12 ნომერი გახლდათ.

ცნობილია, რომ გერმანელისთვის "ფლეშინგ მედოუ" იღბლიან არენად ითვლება. ბოლო ორი წლის განმავლობაში ჰაასი აქ მეოთხედფინალში გადიოდა. როგორც ჩანს, მინიმუმ იმავეს გამეორებას ის წელსაც აპირებს. პირველ წრეში გასკე ყველაზე მაღალი განთესვის მქონე ჩოგბურთელი გახდა, ვინც "დიდი სლემის" რიგით მეოთხე ჩემპიონატს გამოეთიშა. ფრანგმა ხუთსეტიან მატჩში წაგება მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს - ერთ შეხვედრაში 64 (!) უნებლიე შეცდომის დაშვებას მოხერხება უნდა!

■ ■ ■

ქალთა შორის გაცილებით მეტი სენსაცია ხდება. პირველი წრიდან გამოეთიშა ბრძოლას ავსტრალიის წლევანდელი პირველობის ნახევარფინალისტი, სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვა**. მართალია, დანიელა ბოლო პერიოდში ტრავმებმა გაანამა, მაგრამ გერმანელ **ანა-ლენა გრიონეფელდთან** თითქმის უბრძოლველად წაგება მაინც არ ეპატიება.

ორი წლის წინ, გრიონეფელდი WTA-ის რეიტინგში მე-16 ადგილს იკავებდა, მაგრამ შარშან და წელს ღირებული არაფერი გაუკეთებია და 141-ე პოზიციამდე ჩამოქვეითდა. ახლა, როგორც ჩანს, გერმანელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კლასიფიკაციაში წამყვანი პოზიციების დაბრუნება.



ჰანტუხოვასთან შეხვედრაში გრიონეფელდი მეტოქის შეცდომებს არ დალოდებია და თავად ითამაშა ბრწყინვალედ. რად ღირს თუნდაც ერთი სტატისტიკური მაჩვენებელი - ანა-ლენამ პირველ მოწოდებაზე ქულების 96(!!!) პროცენტი მოაგროვა.

მეორე წრეში კიდევ სამი განთესილი გამოაკლდა ტურნირს. წააგეს **ვერა ზვონარევამ** (რუსეთი), **ფრანჩესკა სკიავონემ** (იტალია) და **ანაბელ მედინა გარიგესმა** (ესპანეთი).

ზვონარევა კლასიფიკაციის საუკეთესო ათეულში შედის და წელს კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. მისი მეტოქე უკრაინელი **ტატიანა პერებიინისი** კი 2004 წლის შემდეგ არ გასულა "დიდი სლემის" ტურნირის მესამე წრეში. უკრაინელმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ზვონარევას მიერ დაშვებული 30 უნებლიე შეცდომა და 4-წლიანი უსიამოვნო სერია რუსების ერთ-ერთ მთავარ იმედთან მატჩში შეწყვიტა.

დაბოლოს, გვიან დაასრულა თავისი შეხვედრა ერთ-ერთმა ფავორიტმა, მეორე ნომრად განთესილმა **ელენა იანკოვიჩმა**. სერბმა ძალიან ანერვიულა თავისი გულშემატკივრები. შვედ **სოფია არვიდსონთან** პირველი სეტის მოგების შემდეგ, იანკოვიჩი მეორე პარტიაში ორჯერ მატჩზე აწვდიდა, მაგრამ მეტოქემ ორივე შემთხვევაში შეძლო თავის დაძვრენა. ამ სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. აქაც თავიდან ელენას კარგი შანსი მიეცა, 3:0 გაიქრა წინ, შვედმა კი მორიგი სასწაული მოახდინა და სეტებს შორის ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტ პარტიაში იანკოვიჩმა თითქოს საბოლოო უპირატესობას მიაღწია, თუმცა არვიდსონმა 0:3-დან ისევ გაათანაბრა ანგარიში. მე-12 გეიმში შვედი იყო მოწოდებაზე, რომელსაც შეეძლო სეტის ტაი-ბრეიკში გადაყვანა და იქ კიდევ ერთხელ გაბრძოლება, მაგრამ იანკოვიჩს ამგვარი პერსპექტივა არ ხიბლავდა და აღარ გაწელა ისედაც მარათონული დაპირისპირება. 6:3, 6:7, 7:5 - ასე მოიგო სერბმა და ახლა 1/16 ფინალში უიმბლდონის ნახევარფინალისტი, ჩინელი ჟიე ჟენგი ელის.

გია თვალაბეიშვილი

## კაცები

### I წრე

**მარდი ფიში (აშშ)**-რობერტ სმეეტსი (ავსტრა) 7:6 (4), 6:7 (3), 6:3, 6:4; **პოლ-ანრი მატიო (საფ, 24)**-სებასტიან გროსჟანი (საფ) 6:7 (4), 7:6 (5), 6:3, 6:2; **ანდრეას სეპი (იტა, 31)**-ჰიუნ-ტაიკ ლი (კორ) 6:3, 7:5, 3:6, 3:6, 6:3; **ივო მინარი (ჩეხ)**-ნიკოლას კიფერი (გერ, 20) 4:6, 6:1, 6:4, 4:1 კიფერის უარი; **ბობი რეინოლდსი (აშშ)**-ტომაშ ზიბი (ჩეხ) 6:4, 6:7 (3), 2:6, 6:4, 7:6 (4); **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 11)**-ივან ნავარო (ესპ) 7:6 (3), 6:3, 4:6, 7:6 (5); **ტომი რობრედო (ესპ, 15)**-მიშა ზვერევი (გერ) 7:6 (4), 6:2, 6:1; **მარატ საფინი (რუს)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 3:6, 6:2, 6:3, 4:6, 6:4; **ჟილ მიულერი (ლუქ)**-ლორან რეკურდერი (საფ) 6:4, 6:0, 4:6, 6:4; **ტომი ჰაასი (გერ)**-რიშარ გასკე (საფ, 12) 6:7 (3), 6:4, 5:7, 7:5, 6:2; **რუი მაშადო (პორ)**-რიკ დე ვოესტი (ს. აფრ) 6:4, 7:6 (7), 6:1; **იგორ ანდრეევი (რუს, 23)**-მარკ ჟიკელი (საფ) 7:6 (3), 6:4, 6:4; **ტიაგო ალვეში (ბრა)**-პოლ კაპდევილე (ჩილ) 4:6, 1:6, 6:1, 7:6 (2), 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-მაქსიმო გონსალესი (არგ) 6:3, 6:0, 6:3; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 26)**-ედუარდო შვანკი (არგ) 7:5, 4:6, 7:5, 7:6.

## ქალები

### I წრე

**კაია კანეპი (ესტ)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:0, 6:3; **ამელი მორესმო (საფ, 32)**-ნატალი დეში (საფ) 4:6, 6:3, 6:2; **ნადია პეტროვა (რუს)**-ოლივია სანჩესი (საფ) 6:2, 6:4; **ჯესიკა მური (ავსტრა)**-მელანი ოდინი (აშშ) 7:6 (5), 7:6 (5); **ბეტანი მატეკი (აშშ)**-მარტა დომახოვსკა (პოლ) 6:7 (7), 7:5, 6:4; **ალიზ კორნე (საფ, 17)**-კამილ პინი (საფ) 7:5, 6:0; **ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც)**-ვირჟინ რაზანო (საფ, 31) 6:4, 6:1; **იუნ-იან ჩანი (ტაივ)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 4:6, 7:5, 6:3; **სერენა უილიამსი (აშშ, 4)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:1, 6:4; **ელენა ვესნინა (რუს)**-იულია ვაკულენკო (უკრ) 4:6, 6:1, 6:2; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 20)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 6:1, 6:2; **სევერინ ბრემონი (საფ)**-ჯულია გორგესი (გერ) 7:6 (0), 6:4; **იოანა რალუკა ოლარუ (რუმ)**-ედინა გალოვიტცი (რუმ) 6:0, 6:2; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 18)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:3, 7:6 (4); **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 27)**-ჯამეა ჯექსონი (აშშ) 2:6, 6:3, 6:2; **საბინ ლისიცკი (გერ)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 6:3, 6:4; **როსანა დე ლოს რიოსი (პარ)**-ჰანა სრომოვა (ჩეხ) 6:3, 2:6, 6:3; **ვენუს უილიამსი (აშშ, 7)**-სამანტა სტოსური (ავსტრა) 6:2, 6:3.

### II წრე

**ელენა დემენტიევა (რუს, 5)**-პოლინ პარმენტიე (საფ) 6:2, 6:1; **ენ კეოტავონგი (ბრიტ)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 25) 6:2, 3:6, 6:4; **ნა ლი (ჩინ)**-სარა ერანი (იტა) 4:6, 6:2, 6:0; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 3:6, 7:5, 6:3; **პატი შნიდერი (შვეიც, 15)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს) 6:3, 6:3; **მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:1, 6:2; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 26)**-ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:1, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-სორანა კრისტეა (რუმ) 7:6(3), 6:1; **ტატიანა პერებიინისი (უკრ)**-ვერა ზვონარევა (რუს, 8) 6:3, 6:3; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 26) 6:1, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:3, 6:7(5), 7:5.

# ცხელი ხაზი

## ჩემპიონთა ლიგა

### III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

**ბატე (ბელარუსი)-ლევსკი (ბულგარეთი) 1:1 (1:0)**

გოლები: 1:0 სოსნოვსკი (14), 1:1 გადჟევი (39)
გაძევება: ბლიზნიუკი (43. ბატე)

**კაუნასი (ლიტვა)-ოლბორგი (დანია) 0:2 (0:2)**

გოლები: 0:1 რისგერდი (72), 0:2 რისგერდი (89)
გაძევება: გრიგალევიჩუსი (30. კაუნასი), პილიბაიტისი (67. კაუნასი)

**დინამო (კიევი, უკრაინა)-სპარტაკი (რუსეთი) 4:1 (4:1)**

გოლები: 1:0 ალიევი (4), 2:0 ბანგურა (23), 2:1 ძიუბა (47), 3:1 მილევსკი (48), 4:1 მილევსკი (76)

**სტიაუა (რუმინეთი)-გალათასარაი (თურ) 1:0 (2:2)**

გოლი: 1:0 ნიკოლიტა (57)

**ფენერბაჰჩე (თურქეთი)-პარტიზანი (სერ) 2:1 (2:2)**

გოლები: 1:0 სამიჰ შენთურქი (28), 2:0 ალექსი (58), 2:1 ტომიჩი (76)

**ბაზელი (შვეიცარია)-გიმარაეში (პორ) 2:1 (0:0)**

გოლები: 1:0 შტოკერი (11), 1:1 ფახარდო (14-პენ), 2:1 დერდიოკი (54)

**დინამო (ზაგრები, ხორვატია)-შახტარი (უკრაინა) 1:3 (0:2)**

გოლები: 0:1 ადრიანო (42), 1:1 ბალაბანი (58), 1:2 ბრანდაო (59), 1:3 ვილიანი (70)

**ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)-ანორთოსისი (კვიპროსი) 1:0 (0:3)**

გოლი: 1:0 ბელუში (53)

**ატლეტიკო (ესპანეთი)-შალკე (გერმანია) 4:0 (0:1)**

ატლეტიკო: ლეო ფრანკო, პერეა, ჰეიტინგა, უიფალუში, პერნია, მანიშე (73. პაულო ასუნსაო), რაულ გარსია, მაქსი როდრიგესი, სიმაო, აგუერო (87. სინამა-პონგოლე), ფორლანი (71. ლუის გარსია).

შალკე: შიობერი, ვესტერმანი, ჰიოვედესი, ბორდონი, პანდერი, ფ. ერნსტი, ჯონსი (78. ასამოა), კობიაშვილი (65. რაფინია), ჰალილ ალთინთოფი, რაკიტიჩი (90+1. კარსტაიჩი), კურანი.

გოლები: 1:0 აგუერო (19), 2:0 ფორლანი (51), 3:0 ლუის გარსია (82), 4:0 მაქსი როდრიგესი (87-პენ)
გაძევება: პანდერი (85. შალკე)
მაყურებელი: 55 000

**მარსელი (საფრანგეთი)-ბრანი (ნორვეგია) 2:1 (1:0)**

მარსელი: მანდანდა, ბონარი, ჰილტონი, ტაივო, ზუბარი, მ'ბამი, ზიანი (76. ზენდენი), კანა (84. ბენ. შეირუ), ბენ არფა, გრანდენი (76. კონე), ნიანგი.
გოლები: 1:0 ნიანგი (65), 1:1 სიგურდსონი (73), 2:1 ნიანი (89)
მაყურებელი: 49 417

**სლავია (ჩეხეთი)-ფიორენტინა (იტალია) 0:0 (0:2)**

ფიორენტინა: ფრეი, ძაური, გამბერინი, დაინელი, ვარგასი, კუჟმანოვიჩი (79, პაცინი), ფელიპე მელო, გობი, მარიო სანტანა, ჯილარდინო (63. დონადელი), ოსვალდო (71. იოვეტიჩი).
მაყურებელი: 14 943

**არსენალი (ინგლისი)-ტვენტე (ჰოლანდია) 4:0 (2:0)**

არსენალი: ალმუნია, სანია, გალასი, ჟურუ, კლიში, ფაბრეგასი (68. სონგ ბილონგი), დენილსონი, ნასრი (46. ებუე), უოლკოტი, ვან პერსი (65. ადებაიორი), ბენდტნერი.
გოლები: 1:0 ნასრი (27), 2:0 გალასი (52), 3:0 უოლკოტი (66), 4:0 ბენდტნერი (89)
მაყურებელი: 61 917

**ლივერპული (ინგლისი)-სტანდარდი (ბელგია) 1:0 (0:0)**

ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი, ფაბიო აურელიო, ჯერარდი, ჩაბი ალონსო, ბენაიოუნი (61. ბაბელი), კუიტი, რობი კინი(83. ელ-ჟარი), ფერნანდო ტორესი (120+1. პლესისი).
გოლი: 1:0 კუიტი (118)
მაყურებელი: 43 889

## ფეხბურთი

### ამხანაგური

| | |
|---|---|
| ირანი-აზერბაიჯანი | 1:0 |
| რეალი-სპორტინგი | 5:3 |

### ინგლისი

#### ლიგის თასი

| | | |
|---|---|---|
| ჰადერსფილდი-შეფილდი | | 1:2 |
| ნოტინგემი-სანდერლენ. | 1:1, დ.დ. | 1:2 |
| ვესტ ჰემი-მაკლსფილდი | 1:1, დ.დ. | 4:1 |
| ბლექბერნი-გრიმსბი | | 4:1 |
| ფულჰემი-ლესტერი | | 3:2 |

### ბელგია

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ბევერენი-ჰევერლე | 1:0 |
| დაინცე-ნამური | 0:2 |
| ეუპენი-ლიეჟი | 2:1 |
| ლომელი-ანტვერპენი | 1:1 |
| ტურნე-ვაასლანდი | 3:0 |
| რონსე-ჰამე | 1:1 |
| სტ. ტრუიდენი-ოლ. შარლერუა | 7:1 |
| ვირტონი-ბრიუსელი | 0:1 |
| ტინენი-ოსტენდე | 5:4 |

### შოტლანდია

#### ლიგის თასი

| | | |
|---|---|---|
| არბროა-ინვერნესი | 2:2, პენ. | 0:2 |
| ეირი-აბერდინი | | 0:1 |
| ბრეჩინი-კილმარნოკი | | 0:2 |
| ჰართსი-ეირდრი | 0:0, პენ. | 3:4 |

### დანია

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ფრემადი-ფრედერისია | 2:2 |
| ჰვიდოვრე-ლუნგბიუ | 3:1 |
| კიოლდინგი-ვიბორგი | 1:3 |
| ნიკიობინგი-ჰერფიოლგე | 1:2 |
| კიოგე-აკადემისკი | 0:2 |
| ნაესტველი-ფრემი | 1:1 |
| სილკებორგი-როსკილდე | 2:0 |
| სკივე-ტისტედი | 1:1 |

### ნორვეგია

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| სანდეფიორდი-ოდ გრენლანდი | 3:0 |

### შვედეთი

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ანგელჰოლმი-ბრომაპიოკარნა | 1:0 |
| იორგრიტე-მიალბიუ | 2:0 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| მარიეჰამნი-იარო | 1:2 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ტპ47-კემი | 2:2 |

### ისლანდია

| | |
|---|---|
| ფილკირი-რეიკიავიკი | 0:2 |
| ფრამი-ფიოლნირი | 3:1 |

### იაპონია

| | |
|---|---|
| საპორო-გამბა | 3:3 |
| ივატა-ჯეფ იუნაიტედი | 0:0 |
| ნაგოია-შიმიცუ | 3:2 |
| ვერდი-ურავა | 1:1 |
| კობე-კაშიმა | 1:2 |

## კალათბურთი

### ევრობასკეტი 2009

#### შესარჩევი

| | |
|---|---|
| იტალია-ფინეთი | 88:80 |
| სერბეთი-უნგრეთი | 94:60 |

# TV სპორტი

## 28 აგვისტო. ხუთშაბათი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
14:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:15 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
19:00 საფეხბურთო კლუბი.
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:50 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
19:55 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპის წილისყრა. მონაკო (LIVE).
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მიდლსბრო.
22:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-გრენობლი.
00:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:20 სპორტდოსიე. ხელბურთი.
08:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მიდლსბრო.
10:35 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
11:00 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
11:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი.
13:15 პეკინი 2008. ველოსპორტი. კაცები.
15:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. სუპერფინალი.
18:25 პეკინი 2008. წყალში ხტომა.
20:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპის წილისყრა. მონაკო (LIVE).
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
21:30 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. სან პაულუ-ატ. პარანაენსე.
23:15 პეკინი 2008. ფარიკაობა.
01:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი.
03:40 პეკინი 2008. ველოსპორტი. კაცები.
06:10 პეკინი 2008. წყალში ხტომა.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
12:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XXIII ტური.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ახალი ამბები.
15:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
18:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XXIII ტური.
19:00 ნარდი. მსოფლიო სერია. დანია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. ბრემონი. კანადა.
21:00 რალი. IRC-ს ახალი სერია. ჩეხეთი.
21:30 ახალი ამბები.
21:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
22:00 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი. IV დღე.
22:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი. IV დღე (LIVE).
01:30 ქიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი.
02:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.

### EUROSPORT

05:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე (LIVE).
09:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე.
14:00 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი. III დღე.
16:00 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი. IV დღე (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპის წილისყრა. მონაკო (LIVE).
21:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა







პირველ ფოტოზე 1972 წლის ოლიმპიადის გმირი **მარკ სპიცია** გამოსახული, რომელმაც იმ თამაშებზე ოქროს შვიდი მედალი მოიგო. ის კმაყოფილი იშვერს ხელს ჟურნალის გარეკანისკენ, სადაც პეკინში მოპოვებული რვა ოქროთი **მაიკლ ფელპსი** იწონებს თავს. როგორც ხედავთ, სპიცი სულაც არ ნაღვლობს იმას, რომ 23 წლის ფენომენმა მისი "მუდმივი რეკორდი" დაამხო. მეორე სურათზე წმინდა ლუკას ლუთერანული ეკლესიის შესასვლელთან გაკეთებულ წარწერას ვხედავთ, რომელიც გვახსენებს, რომ "ფელპსი მაგარია, მაგრამ ქრისტეს წყალზე სიარული შეეძლო. უდავოდ წლის ფრაზაა!



ნაიკბურგერი!



ეს არის ფოტო **ფრანკო სენსის** დასაფლავებიდან. "რომას" 82 წლის პრეზიდენტი გასულ კვირას გარდაიცვალა. **პანუჩიმ, ტოტიმ** და სხვა რომაელებმა სენსი უკანასკნელ გზაზე გააცილეს.



ამ ქალბატონს **დეიზი** ჰქვია, გვარი - **დე ლა ჰოია**. დიახ, ლეგენდარული **ოსკარ დე ლა ჰოია** მისი ბიძაა.

ფორმულა 1

# 400 ევრო აივანზე ბილეთისთვის




ვალენსიაში სადებიუტო რბოლის დროს ბევრმა შეამჩნია საინტერესო რეკლამა: ტრასასთან ახლოს, ზოგიერთი შენობის აივანზე ბანერები იყო გამოფენილი, რომლებზეც ვებ-გვერდის მისამართები ეწერა. მათი დახმარებით ნებისმიერს შეეძლო იმპროვიზებული ტრიბუნიდან ევროპის გრანპრისთვის თვალის დევნება. "მაკლარენის" შეფმა **რონ დენისმა** ჯერ კიდევ შაბათს განაცხადა, რომ ამ ვებ-გვერდებზე მითითებული მისამართების მიხედვით, ვალენსიაში რბოლის ყურება გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე მონაკოში.

აივანზე ერთი ბილეთი 400 ევრო ღირდა. მის მფლობელს შეეძლო, პარალელურად ტელეტრანსლაციისთვის ედევნებინა თვალი და იმპროვიზირებული ბარითაც ესარგებლა.

გაცილებით ძვირი ღირდა ტრასის მიღმა, სანაპიროზე დაყენებული იახტებიდან რბოლის ნახვა. ეს სიამოვნება ერთ კაცზე 1500 ევრო ღირდა და ამ ფასში ერთი ბოთლი შამპანური შედიოდა.



**იაო მინი** და ბავშვები.

კრივი

# ალის მენეჯერი აღარ ჰყავს

79 წლისასაკში გარდაიცვალა ლეგენდარული ამერიკელი მოკრივის **მუჰამედ ალის** ყოფილი მენეჯერი **ჯაბირ ჰერბერტ მუჰამადი**. ერთ-ერთი ისლამური ორგანიზაციის ("ისლამის ერი") ლიდერის **ელაიჯი მუჰამადის** შვილი ჩიკაგოს სამედიცინო ცენტრში გულზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ ველარ მოვიდა გონს.

ჯაბირ მუჰამადი მეოთხედი საუკუნე მუჰამედ ალის მენეჯერი იყო. მათი თანამშრომლობა 1966 წელს დაიწყო და 1981 წლამდე გაგრძელდა - როცა ლეგენდარულმა ამერიკელმა მოკრივემ კარიერა დაასრულა. თუმცა ამის შემდეგაც, დაახლოებით ათი წლის განმავლობაში მუჰამადი ალის საქმეებს აგვარებდა.

ამბობენ, რომ თავის დროზე, სწორედ მუჰამადმა აიძულა **კასიუს კლეი**, ისლამი მიეღო და გვარი შეეცვალა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა